საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანო

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან

№ 20

კვირა, 30 დეკემბერი, 1990

ფასი 3 კაპიკი

პროექტი

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დადგენილება

„პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის პროექტის სახალხო განხილვის თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს: „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის პროექტი გამოქვეყნდეს სახალხო განხილვისათვის.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ზ. გამსახურდია

თბილისი. 1990 წლის 27 დეკემბერი.

საქართველოს რესპუბლიკა, მთელი მისი მოსახლეობა იღვწის სრული დამოუკიდებლობის აღდგენისა და ჭეშმარიტად დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნისათვის. ამ მიზნის მისაღწევად დიდი მნიშვნელობა ენიჭება თავისუფალი პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა დემოკრატიულ საკანონმდებლო გარანტიებს.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა საქმიანობას საფუძვლად ედება ჰუმანიზმის, თანასწორობის, მიმტევებლობისა და სიკეთის პრინციპები, რომლებიც ხელს უწყობენ დემოკრატიის გაფართოებას, საზოგადოებრივ და სახელმწიფო პროგრესს.

პრესის თავისუფლება თავისუფალი საზოგადოების საფუძველია.

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. პრესის თავისუფლება

საქართველოს რესპუბლიკის პრესა და ინფორმაციის სხვა საშუალებები თავისუფალია, რაც გარანტირებულია რესპუბლიკის კონსტიტუციით.

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს უფლება აქვთ გამოთქვან საკუთარი აზრი და დაიცვან თავიანთი თვალსაზრისი ინფორმაციის ნებისმიერი საშუალებით.

პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა ცენზურა დაუშვებელია.

მუხლი 2. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში იგულისხმება გაზეთები, ჟურნალები, ტელე-რადიოპროგრამები, კინოდოკუმენტალისტიკა, მასობრივი ინფორმაციის საჯაროდ გავრცელების სხვა პერიოდული საშუალებები, რომელთა საქმიანობას წარმართავენ პერიოდული პრესის, ტელე და რადიომაუწყებლობის რედაქციები (საინფორმაციო სააგენტოები, სხვა დაწესებულებები).

მუხლი 3. მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ენა

პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა ენაა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ენა — ქართული.

საქართველოს რესპუბლიკაში მცხოვრებ სხვა ეროვნების მოქალაქეებს უფლება აქვთ ინფორმაცია გაავრცელონ სხვა ენებზე, თუ ეს ინფორმაცია მიმართული არ არის რესპუბლიკის ინტერესების წინააღმდეგ.

მუხლი 4. საწარმოო-სამეურნეო საქმიანობა

მასობრივი ინფორმაციის საშუალების რედაქცია იურიდიული პირია, რომელიც მოქმედებს თავისი წესდების საფუძველზე.

რედაქციას უფლება აქვს ახორციელებდეს საწარმოო-სამეურნეო საქმიანობას ეკონომიკური დამოუკიდებლობისა და სამეურნეო ანგარიშის პირობებით.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის სახელმწიფო დოტაციების მიცემის წესს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობა.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს უფლება აქვთ დააარსონ სააქციონერო საზოგადოებები, დაამყარონ საქმიანი სამეურნეო ურთიერთობა უცხოეთის საზოგადოებებთან, ფირმებთან, კერძო პირებთან, გაყიდონ აქციები უცხოეთში (არა უმეტეს 20 პროცენტისა).

მუხლი 5. მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ბოროტად გამოყენების დაუშვებლობა

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს ეკრძალებათ:

ა) სახელმწიფო საიდუმლოებათა გამჟღავნება;

ბ) არსებული სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების ძალადობით დამხობის ან შეცვლისაკენ მოწოდება;

გ) ომის, სისასტიკის, რასობრივი, ეროვნული, რელიგიური შეუწყნარებლობის პროპაგანდა;

დ) პორნოგრაფიული და სხვა ამგვარი ინფორმაციის გავრცელება, რომელიც ხელს უწყობს სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენას;

ე) მოქალაქეთა პირად ცხოვრებაში ჩარევა, მათი პიროვნული ღირსების ხელყოფა;

ვ) ყალბი და შეუმოწმებელი ინფორმაციების გადაცემა, შეგნებული დეზინფორმირება საზოგადოებისა.

მუხლი 6. საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობა პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა შესახებ

კანონმდებლობა პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა შესახებ შედგება ამ კანონისა და მის შესაბამისად გამოცემული კანონმდებლობისა და აქტებისაგან, აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ავტონომიური წარმონაქმნების მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა შესახებ კანონმდებლობისა და სხვა აქტებისაგან.

თავი II

მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა საქმიანობა და გავრცელება

მუხლი 7. დაარსების უფლება

მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა დაარსების უფლება აქვთ სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოებს, პოლიტიკურ პარტიებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, მასობრივ მოძრაობებს, შემოქმედებითს კავშირებს, სხვა გაერთიანებებს, რომლებიც შექმნილია კანონის შესაბამისად, შრომითს კოლექტივებს, აგრეთვე თვრამეტი წლის ასაკს მიღწეულ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს. ამ ორგანიზაციებსა და პირებს აქვთ უფლება ერთი ან რამდენიმე გაზეთის დაარსებისა, მაგრამ არ დაიშვება მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მონოპოლიზაცია.

მუხლი 8. რეგისტრაცია

პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა რედაქციები თავიანთ საქმიანობას იწყებენ რეგისტრაციის შემდეგ.

რესპუბლიკური პრესის, მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა რეგისტრაციის შესახებ განცხადება დამფუძნებლებს შეაქვთ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში, ხოლო ავტონომიის ან ადგილობრივი აუდიტორიისათვის გათვალისწინებული მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა რეგისტრაციის შესახებ განცხადება — შესაბამის აღმასრულებელ და განმკარგულებელ ორგანოებში. განცხადება განხილული უნდა იქნეს მიღებიდან ერთი თვის ვადაში.

საზღვარგარეთის აუდიტორიისათვის გათვალისწინებულ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს რეგისტრაციაში ატარებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო.

იმ შემთხვევაში, თუ მასობრივი ინფორმაციის საშუალების გამოშვების ნებართვა განმცხადებელმა დროულად არ გამოიყენა, ძალადაკარგულად ითვლება ერთი წლის შემდეგ.

მუხლი 9. განცხადება მასობრივი ინფორმაციის საშუალების რეგისტრაციის შესახებ

მასობრივი ინფორმაციის საშუალების რეგისტრაციის შესახებ განცხადებაში აღნიშნული უნდა იყოს:

1) დამფუძნებელი, გამომცემელი;

2) სახელწოდება, ენა, ადგილმდებარეობა;

3) სავარაუდო აუდიტორია;

4) მიზნები და ამოცანები;

5) პერიოდულობა, მოცულობა და დაფინანსების წყაროები.

მასობრივი ინფომაციის საშუალების რეგისტრაციის დროს სხვა მოთხოვნების წამოყენება აკრძალულია.

მუხლი 10. რეგისტრაციის გარეშე ინფორმაციის გავრცელების შემთხვევები

რეგისტრაციას არ საჭიროებენ სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოები, სხვა სახელმწიფო ორგანოები ოფიციალური ნორმატიული და სხვა აქტების, სასამართლო და საარბიტრაჟო პრაქტიკის ბიულეტენების გამოცემისათვის, აგრეთვე ათას ცალზე ნაკლები ბეჭდითი პროდუქციის გამოშვება, ამავე ტირაჟის ვიწრო სპეციალური ლიტერატურა, რომელიც საჯარო გავრცელებისათვის არ არის გამიზნული.

მუხლი 11. რეგისტრაციაზე უარის თქმა

მასობრივი ინფორმაციის საშუალებას რეგისტრაციაზე შეიძლება უარი ეთქვას:

ა) თუ მისი მიზნები ეწინააღმდეგება ამ კანონს;

ბ) თუ ამავე სახელწოდების სხვა გამოცემაც არსებობს;

გ) თუ აკრძალული მასობრივი ინფორმაციის საშუალების გაუქმებიდან არ არის გასული ერთი წელი.

მუხლი 12. სარეგისტრაციო გადასახადი

სარეგისტრაციო გადასახადს იხდიან არსებული კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 13. გამოშვების ან გამოცემის შეწყვეტა

მასობრივი ინფორმაციის საშუალების გამოშვების ან გამოცემის შეწყვეტა შეიძლება დამფუძნებლისა და გამომცემლის ან სასამართლოს გადაწყვეტილებით.

მასობრივი ინფორმაციის საშუალების გამოცემა აიკრძალება, თუ იგი განმეორებით დაარღვევს ამ კანონის მე-5 მუხლის პირველ ნაწილს.

თუ მასობრივი ინფორმაციის საშუალება არ ფუნქციონირებს ერთი წლის განმავლობაში, იგი მექანიკურად უქმდება და საჭიროა მისი ხელახალი რეგისტრაცია.

რეგისტრაციისა და აკრძალვის საკითხებთან დაკავშირებულ კონფლიქტს წყვეტს სასამართლო.

თუ დამფუძნებელი, გამომცემელი გააუქმებს ამა თუ იმ მასობრივი ინფორმაციის საშუალებას, რედაქციის შრომითს კოლექტივს ან რედაქტორს (მთავარ რედაქტორს) აქვს უპირატესი უფლება დააარსოს იმავე სახელწოდების მასობრივი ინფორმაციის საშუალება.

მუხლი 14. მასობრივი ინფორმაციის საშუალების დამფუძნებელი, რედაქტორი, რედაქცია და გამომცემელი

დამფუძნებელი განსაზღვრავს მასობრივი ინფორმაციის საშუალების საქმიანობის პროგრამას (ძირითად პრინციპებს).

თუ მასობრივი ინფორმაციის საშუალების დამფუძნებელი არ არის გამომცემელი, დამფინანსებელი, მათ შორის იდება ხელშეკრულება. ფინანსურად დამოუკიდებელ გამომცემელს უფლება აქვს იყოს დამფუძნებელიც. მასობრივი ინფორმაციის საშუალების დამფუძნებლის, რედაქციისა და გამომცემლის საწარმოო, ქონებრივი და ფინანსური ურთიერთობის საფუძველია მოქმედი კანონმდებლობა და ხელშეკრულება. დამფუძნებელს, გამომცემელს და რედაქციას შორის ფინანსურ თუ სხვა ნიადაგზე წარმოშობილ კონფლიქტს განიხილავს სასამართლო.

რედაქტორს (მთავარ რედაქტორს) ნიშნავენ ან ათავისუფლებენ დამფუძნებელი და გამომცემელი კოლექტივის აზრის გათვალისწინებით, ან ირჩევს და ათავისუფლებს კოლექტივი თავისი წესდების მიხედვით.

რედაქციის საქმიანობას ხელმძღვანელობს და წარმართავს რედაქტორი (მთავარი რედაქტორი).

სარედაქციო კოლეგია იქმნება სარედაქციო წესდების მიხედვით.

მუხლი 15. სარედაქციო წესდება

მასობრივი ინფორმაციის საშუალების სარედაქციო წესდებას იღებენ რედაქციის კოლექტივის საერთო კრებაზე ხმების უმრავლესობით, რომელსაც ესწრება მისი შემადგენლობის სულ ცოტა ორი მესამედი და ამტკიცებს დამფუძნებელი ან გამომცემელი. კონფლიქტის შემთხვევაში ურთიერთობას აგვარებს სასამართლო.

სარედაქციო წესდება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ამ კანონს.

მუხლი 16. გამოსასვლელი მონაცემები

ყოველ პერიოდულ ბეჭდითს გამოცემაზე უნდა აღინიშნოს:

1) სახელწოდება;

2) დამფუძნებელი, გამომცემელი;

3) რედაქტორის (მთავარი რედაქტორის) სახელი და გვარი;

4) გამოშვების რიგითი ნომერი და გამოსვლის თარიღი პერიოდული გამოცემებისათვის, ხოლო გაზეთებისათვის — დასაბეჭდად ხელმოწერის დროც;

5) ინდექსი;

6) ტირაჟი;

7) ფასი;

8) რედაქციისა და სტამბის მისამართები.

ეთერში ყოველი გასვლის დროს ტელე-რადიომაუწყებლობის რედაქციები მოვალენი არიან გამოაცხადონ თავის სახელწოდება.

მუხლი 17. საკონტროლო და სავალდებულო ეგზემპლარები

პერიოდული ბეჭდითი გამოცემების უფასო საკონტროლო ეგზემპლარები ეგზავნებათ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, ცენტრალურ ბიბლიოთეკებსა და საცავებს.

ტელე-რადიო მაუწყებლობის რედაქციები მოვალენი არიან გადაცემათა მასალები შეინახონ ეთერში გასვლის შემდეგ ერთი თვის განმავლობაში.

მუხლი 18. გავრცელების წესი და ნებართვა

მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა პროდუქციას ავრცელებენ უშუალოდ გამომცემელი, კავშირგაბმულობის საწარმოები, ორგანიზაციები ან მოქალაქეები სახელშეკრულებო ან სხვა კანონიერ საფუძვლებზე.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა პროდუქციის თითოეული ცალკე გამოშვების (გამოსასვლელი მონაცემებით) გავრცელება ხდება რედაქტორის (მთავარი რედაქტორის) ნებართვის შემდეგ.

პერიოდული ბეჭდითი გამოცემის ტირაჟს განსაზღვრავს რედაქტორი (მთავარი რედაქტორი).

კანონიერ საფუძველზე მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა პროდუქციის გავრცელებისათვის ხელის შეშლა, მათ შორის ტირაჟის ან მისი ნაწილის ამოღება დაუშვებელია სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე.

მუხლი 19. ოფიციალური ცნობები

სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების მიერ დაფუძნებული მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი მოვალენი არიან გამოაქვეყნონ ამ ორგანოების ოფიციალური ცნობები უფასოდ.

თავი III

მოქალაქეთა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ჟურნალისტთა უფლება-მოვალეობანი

მუხლი 20. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ინფორმაციის მიღების უფლება

მოქალაქეებს აქვთ უფლება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ოპერატიულად მიიღონ ცნობები სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივი გაერთიანებებისა და თანამდებობის პირთა საქმიანობის შესახებ.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს უფლება აქვთ ასეთი ინფორმაცია მიიღონ სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივი გაერთიანებებისა და თანამდებობის პირთაგან და გაეცნონ მათთვის საჭირო დოკუმენტებს. წინააღმდეგ შემთხვევაში უფლება აქვთ მიმართონ ზემდგომ ორგანოებს ან სასამართლოს.

მუხლი 21. ავტორთა მასალებისა და წერილების გამოქვეყნება

მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მიერ მასალების გამოყენება ჟურნალისტიკის, ლიტერატურის, ხელოვნებისა და მეცნიერების დარგებიდან შეიძლება საავტორო უფლების დაურღვევლად.

არავის არა აქვს უფლება დაავალდებულოს მასობრივი ინფორმაციის საშუალება გამოაქვეყნოს რედაქციის მიერ უარყოფილი მასალა.

მკითხველთა წერილების გამოქვეყნებისას შეიძლება მათი ტექსტის შემცირება და რედაქტირება, თუ არ მახინჯდება წერილთა აზრი.

მუხლი 22. უარყოფისა და პასუხის უფლება

მოქალაქეს ან ორგანიზაციას უფლება აქვს მასობრივი ინფორმაციის საშუალების რედაქციის მოსთხოვოს პატივისა და ღირსების შემლახავი, ცილისმწამებლური მასალის უარყოფა.

უარყოფა ან პასუხი ქვეყნდება გაზეთში სპეციალური რუბრიკით იმავე გვერდზე, ან გადაიცემა ტელევიზიით (რადიოთი) მოთხოვნის დღიდან არა უგვიანეს ერთი თვის ვადაში.

თუ მოქალაქეს ან ორგანიზაციას არ აკმაყოფილებს პასუხი, უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს.

მუხლი 23. ინფორმაციის გაუმჟღავნებლობის შემთხვევები

მასობრივი ინფორმაციის საშუალების რედაქციას, ჟურნალისტს უფლება არა აქვს:

1) გაახმაუროს წინასწარი გამოძიების მონაცემები სპეციალური ნებართვის გარეშე, რომელსაც იძლევა პროკურორი, გამომძიებელი ან მომკვლევი პირი;

2) საზოგადოების სამსჯავროზე გამოიტანოს ინფორმაცია არასრულწლოვანი სამართალდამრღვევის შესახებ მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე;

3) წინასწარ განსაზღვროს სასამართლოს შედეგები ან სხვაგვარად მოახდინოს ზემოქმედება სასამართლოზე.

მუხლი 24. ჟურნალისტი და მისი უფლებები

ჟურნალისტი არის პირი, რომელიც აგროვებს, ქმნის, არედაქტირებს ან ამზადებს მასალებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის და აქვს ამის სათანადო რწმუნება, ან არის ჟურნალისტთა კავშირის წევრი.

ჟურნალისტს უფლება აქვს:

1) მოიძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია;

2) შევიდეს ნებისმიერ ინსტანციასა და ორგანიზაციაში და შეხვდეს თანამდებობის პირებს პროფესიული ჟურნალისტური მოვალეობის შესასრულებლად;

3) ჩაიწეროს მასალა ნებისმიერი საშუალებით (მათ შორის აუდიოვიზიალური ტექნიკის გამოყენება, კინო- და ფოტოგადაღება) კანონით აკრძალული შემთხვევების გარდა;

4) დაესწროს მასობრივ ღონისძიებებს — საზოგადოებრივ თავყრილობებს, მიტინგებს, დემონსტრაციებს, დაუბრკოლებლად ჩავიდეს სტიქიურ უბედურებათა რაიონებში და ა. შ.;

5) მიმართოს სპეციალისტებს შემოსული მასალების შესამოწმებლად;

6) მოითხოვოს ავტორობის საიდუმლოების შენახვა;

7) არ მოაწეროს ხელი და არ მოამზადოს მასალა, რომელიც ეწინააღმდეგება მის მრწამსს, ანდა სარედაქციო სწორების დროს დამახინჯდა;

8) ჟურნალისტს უფლება აქვს ისარგებლოს ნებისმიერი საარქივო მასალით, საიდუმლო და სპეცფონდით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საქმე ეხება სახელმწიფო საიდუმლოებას ან პიროვნების ღირსებას.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს უფლება აქვთ ჟურნალისტი წინასწარ მიავლინონ სახელმწიფო ორგანოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, რომლებიც ვალდებული არიან უზრუნველყონ ჟურნალისტის სამუშაო პირობები.

მუხლი 25. ჟურნალისტის მოვალეობანი

ჟურნალისტი მოვალეა:

1) დაიცვას სარედაქციო წესდება და პროგრამა;

2) შეამოწმოს მის მიერ მოპოვებული ინფორმაციის უტყუარობა;

3) დააკმაყოფილოს ინფორმაციის მიმწოდებელ პირთა თხოვნა მათი ავტორობის მითითების შესახებ, თუ ასეთი ინფორმაცია პირველად ქვეყნდება;

4) უარი თქვას რედაქტორის (მთავარი რედაქტორის) ან რედაქციის მიერ მისთვის მიცემულ დავალებაზე, თუ ეს დავალება არღვევს კანონს და მის ზნეობრივ მრწამსს ეწინააღმდეგება;

5) პატივი სცეს მოქალაქეთა და ორგანიზაციათა კონსტიტუციურ უფლებებს.

თავი IV

პასუხისმგებლობა პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა შესახებ კანონმდებლობის დარღვევისათვის

მუხლი 26. პასუხისმგებლობის საფუძვლები

სიტყვის თავისუფლების ბოროტად გამოყენება, სინამდვილისათვის შეუსაბამო ცნობების გავრცელება, რომლებიც ბღალავენ მოქალაქის ან ორგანიზაციის პატივსა და ღირსებას, ჟურნალისტთა ზემოქმედება სასამართლოზე იწვევს სისხლის სამართლის, ადმინისტრაციულ ან სხვა პასუხისმგებლობას საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა შესახებ კანონმდებლობის დარღვევისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების ბრალეულ თანამდებობის პირებს, აგრეთვე მასობრივი ინფორმაციის საშუალების რედაქციას, რედაქტორს (მთავარ რედაქტორს), მასალის ავტორს.

მუხლი 27. მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა საქმიანობაში ჩარევლობა

სახელმწიფო ორგანოების, თანამდებობის პირების, ნებისმიერი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციების მიერ ჟურნალისტთა ან რედაქციათა კანონიერი პროფესიული საქმიანობის დაბრკოლება, ჟურნალისტთა და რედაქციათა იძულება გაავრცელონ ყალბი და შეუმოწმებელი ინფორმაცია ან უარი თქვან შემოწმებული ინფორმაციის გავრცელებაზე, იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას და ისჯება ჯარიმით 500-დან 1000 მანეთამდე. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე.

მუხლი 28. პასუხისმგებლობა მასობრივი ინფორმაციის უკანონო მომზადებისა და გავრცელებისათვის

მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა პროდუქციის შექმნა და გავრცელება, თუ იგი რეგისტრაციაში არ არის გატარებული, იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას ხუთას მანეთამდე ჯარიმის სახით, რომელსაც სასამართლო აკისრებს ნაბეჭდი ან სხვა პროდუქციის ტირაჟის ამოღებითურთ.

წლის განმავლობაში ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დარღვევის განმეორებით ჩადენა იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას და ისჯება ჯარიმით ათას მანეთამდე, ბრალეულის კუთვნილი იმ ტექნიკური საშუალებების კონფისკაციით, რომლებსაც იყენებდა იგი ინფორმაციის მომზადებისა და გავრცელებისათვის.

მუხლი 29. პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების შემთხვევები

რედაქტორს (მთავარ რედაქტორს), ასევე ჟურნალისტს არ ეკისრებათ პასუხისმგებლობა სინამდვილის შეუფერებელი ცნობების გავრცელებისათვის, თუ:

1) ამ ცნობებს შეიცავდა ოფიციალური ინფორმაციები;

2) ისინი მიღებულია საინფორმაციო სააგენტოების ან სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების პრესსამსახურებისაგან;

3) სიტყვასიტყვით იმეორებენ სხვადასხვა ოფიციალურ თავყრილობებზე პასუხისმგებელ პირთა გამოსვლებს;

4) ასეთი ცნობები იყო გამოსვლებში, რომლებიც ეთერში გადის წინასწარი ჩაწერის გარეშე, ან ტექსტებში, რომლებიც არ ექვემდებარება რედაქტირებას ამ კანონის შესაბამისად.

თავი V

საერთაშორისო თანამშრომლობა

მუხლი 30. საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები

საერთაშორისო თანამშრომლობა ხორციელდება საქართველოს რესპუბლიკის მიერ დადებულ საერთაშორისო ხელშეკრულებათა საფუძველზე.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს შეუძლიათ დადონ შეთანხმებანი უცხოეთის მოქალაქეებთან და ორგანიზაციებთან. თუ საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილია ურთიერთობის სხვა წესები, ვიდრე ეს კანონი ითვალისწინებს, პრიორიტეტი ენიჭება საერთაშორისო ხელშეკრულებებს.

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს უფლება აქვთ მიიღონ ინფორმაცია საზღვარგარეთის წყაროებიდან (ტელევიზია, რადიო, პრესა).

მუხლი 31. საქართველოში უცხოელი ჟურნალისტების, საზღვარგარეთის სახელმწიფოთა დიპლომატიურ და სხვა წარმომადგენელთა საინფორმაციო საქმიანობა

საქართველოს რესპუბლიკაში აკრედიტებული უცხოელი კორესპონდენტებისა და უცხოეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა სხვა წარმომადგენლების სამართლებრივ მდგომარეობასა და პროფესიულ საქმიანობას, აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის დიპლომატიური, საკონსულო და სხვა ოფიციალური წარმომადგენლობების საინფორმაციო საქმიანობას არეგულირებს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობა და შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებები.

თავი VI

კონტროლი კანონისადმი და მისი განხორციელება

მუხლი 32. კანონის დაცვისა და განხორციელების ზედამხედველობის კომისია

პრესისა და ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ კანონის დაცვასა და განხორციელებას კონტროლს უწევს სპეციალური კომისია, რომელიც შედგება სხვადასხვა სფეროში მოღვაწე კომპეტენტური პირებისაგან. კომისიის შემადგენლობა უნდა განისაზღვროს არა უმეტეს 21 კაცით. არჩევის დღიდან კომისიის წევრს აღარ აქვს უფლება მუშაობდეს პრესისა და ინფორმაციის სხვა საშუალებებში.

კომისიის წევრებს ირჩევენ 5 წლის ვადით საქართველოს პრესისა და ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენელთა საერთო კრებაზე. კომისიის წევრები ირჩევენ თავმჯდომარეს და თავმჯდომარის წინადადებით 2 მოადგილეს. კომისია გაწეული მუშაობის შესახებ ყოველწლიურად ანგარიშს აბარებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს.

ამ კანონის მუხლები იმპერატიული ხასიათისაა და უნდა შესრულდეს როგორც საქართველოს რესპუბლიკის კანონი.

საკუთარ სახლში

პერმანენტულად გაგრძელდება

მეექვსე დღეა ტელევიზიის შენობაში, თავმჯდომარის მისაღებში შიმშილობას აგრძელებს ქართველ დედათა ჯგუფი, მათ თავიდან მთავრობის სახლის წინ დაიწყეს აქცია. 18 მოშიმშილე ქალი უკვე გადაყვანილია სამედიცინო-პროფილაქტიკურ ცენტრში, ქამთარაძის ქუჩაზე. ამჟამად ხუთი ქალი შიმშილობს: ზეინაბ ლეჟავა, გულიანა ჯახია, მარგარიტა აფციაური, ფოთოლა სოფრომაძე, ლეილა კეცხოველი.

როგორც მკითხველმა იცის, ტელევიზიის შენობაში მოშიმშილეთა გამოსვლა ირაკლი წერეთლის ტელევიზიით გამოსვლამ და „მოამბეში" მოშიმშილეთა მოთხოვნების ცალმხრივად, არაობიექტურად გაშუქებამ განაპირობა.

გვესაუბრება ქალბატონი მარგარიტა აფციაური, პედაგოგი, დედა და ბებია:

— იმის მაგიერ, რომ ტელევიზია რესპუბლიკაში სტაბილურობას და სიმშვიდეს უწყობდეს ხელს, პირიქით ხდება. აშკარაა, რომ იგი კონგრესის დიქტატის ქვეშ იმყოფება. საკითხავია, ვინ მართავს ტელევიზიას. ჩვენთან არავინ მოსულა და არ უკითხავთ, რა გვაწუხებს, რატომ ვშიმშილობთ, ურთიერთგაგებით არავინ მოგვკიდებია. ექვს ქალს, რომლებიც პირველ დღეს გადმოვიდნენ აქ, ტელევიზიის მუშაკთა ლანძღვა-გინების და შეურაცხყოფის ნიაღვარი დაატყდა თავს. ტელევიზიის მესვეურნი, თითქოს ახლად არჩეულ უზენაეს საბჭოს სიტყვით მხარს უჭერენ, მაგრამ საქმით კი საწინააღმდეგოს ამტკიცებენ. მათი მხრივ ასეთი გაუკითხაობის შედეგია, რომ საქართველოს რეალური მთავრობის მიმართ ამგვარ ცილისმწამებლურ, უზნეო ხერხებს იყენებენ. რატომ დუმს ჩვენი ინტელიგენცია, რატომ იკავებენ თავს, ზნეობრივი შეფასება მისცენ ფაქტებს, რომლებიც ჩვენს გარშემო ხდება. განა მათი მხრიდან დუმილი ღალატის ტოლფასი არ არის ამ პირობებში?

უცვლელად გთავაზობთ მოთხოვნებს, რომელიც მოშიმშილეებმა ტელევიზიის ხელმძღვანელობას წაუყენეს: „მოვითხოვთ წერილობით გარანტიას: ტელევიზიით აღარასოდეს გადაიცეს შეურაცხყოფა და ცილისწამება უზენაესი საბჭოსადმი. გადაიცეს მხოლოდ შემოწმებული ინფორმაცია. ი. წერეთელს, ჯ. იოსელიანს, რ. მიქაბერიძეს, ი. ქადაგიშვილს, ი. სარიშვილს, გ. ჭანტურიას და სხვებს არ მიეცეთ ნება ტელევიზიით უზენაესი საბჭოს მიმართ გაუმართლებელი და ცილისმწამებლური გამოსვლებისა. მხოლოდ ამ გარანტიის მიღების შემდეგ შევწყვეტთ შიმშილობას".

მოთხოვნას ხელს აწერს 12 ქალი: ელზა ჩინჩალაძე, ცაცო ჩინჩალაძე, მზია გეგია, ლალი გაგუა, ლენა მარანელი, თამარ სიჭინავა, ლილი დეკანოიძე, ზეინაბ ლეჟავა, გულიანა ჯახია, ლეილა კეცხოველი, ფოთოლა სოფრომაძე, მარგარიტა აფციაური.

კარს მოგვადგა ახალი წელი. საქართველოს ტელევიზიის თავმჯდომარის მისაღებში კი მოშიმშილეთა აქცია გრძელდება და ქალბატონი ლეილა კეცხოველის სიტყვით პერმანენტულად გაგრძელდება, სანამ მათ მოთხოვნებს ყურად არ იღებენ.

ესაუბრა
გიორგი ფერაძე.

სურათზე: მოშიმშილეთა აქცია ტელევიზიის მისაღებში
თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

შეხვედრა განათლების მინისტრთან

28 დეკემბერს საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელმა კავშირმა მოაწყო რესპუბლიკის განათლების მინისტრის ლია ანდღულაძის პრესკონფერენცია, რომელშიც მონაწილეობდნენ რესპუბლიკის პრესის, რადიოსა და ტელევიზიის მუშაკები და განათლების სისტემის წარმომადგენლები.

პრესკონფერენცია გახსნა საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელი კავშირის გამგეობის მდივანმა აკაკი სიხარულიძემ.

განათლების მინისტრმა ქალბატონმა ლია ანდღულაძემ შეკრებილთ მოუთხრო იმ სადღეისო ამოცანებზე, რომელთა გადაწყვეტა ხელს შეუწყობს რესპუბლიკაში განათლების სისტემის ძირეულ გარდაქმნას. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ მოსწავლეთა აღზრდა თანამედროვე ეტაპზე მოითხოვს ძველი სტერეოტიპების მსხვრევას, დრომოჭმული ტრადიციების უარყოფას, ახალ რელსებზე გადასვლას. კერძოდ, საუბარი შეეხო სასწავლო პროგრამების გადასინჯვას, ზედმეტი დისციპლინებისაგან მათს გათავისუფლებას, მასწავლებლებისა და მოსწავლეთათვის ნორმალური პირობების შექმნას, პროფილირებულ სწავლებაზე გადასვლის აუცილებლობას.

ახლა, როცა რესპუბლიკა სრული დამოუკიდებლობის გზას ადგას, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ახალი საქართველოს მოქალაქეების აღზრდას. ამასთან დაკავშირებით ითქვა, რომ მომავალ სასწავლო პროგრამებში ფართოდ იქნება წარმოდგენილი ქართული ენა და ლიტერატურა, საქართველოს ისტორია და გეოგრაფია, რელიგიის და ხელოვნების ისტორია, ღვთისმეტყველება და რიტორიკა. ამ საგნების სწავლება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მოსწავლეთა ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას, საკუთარი მიწა-წყლის ისტორიის ღრმად შესწავლას, გაუღვივებს ახალგაზრდებს პატრიოტულ, სულიერად წმინდა და სპეტაკ გრძნობებს. სწორედ ამ გრძნობებით აღზრდილი ადამიანები სჭირდება მომავალ საქართველოს.

მწარე მოსასმენია ამ ახალი წლის წინა დღეებში, მაგრამ სიმართლეს თვალი უნდა გავუსწოროთ, ითქვა შეხვედრაზე. მეტად რთული ვითარებაა დღეს განათლების სისტემაში, საშუალო სკოლა იქნება ეს, პროფტექნიკური თუ უმაღლესი სასწავლებელი. მძიმე მემკვიდრეობა ერგო განათლების მინისტრს, მის კაბინეტს. უამრავი პრობლემაა გადასაჭრელი. თანაც ყველა გადაუდებელი და პირველი რიგისა...

მიუხედავად იმისა, რომ სამედიცინო ინსტიტუტის აბიტურიენტთა მოთხოვნების განსახილველად რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ შექმნა კომისია, მეხუთე დღეა განათლების სამინისტროში შიმშილობს 426 ახალგაზრდა მშობლებთან ერთად. მოშიმშილენი არაფერს ერიდებიან, ხდება ძალდატანება, არის, შეიძლება ითქვას, პროვოკაციული გამოხდომებიც. ისინი მოითხოვენ ფასიანი სწავლების შემოღებას სხვა უმაღლესი სასწავლებლების მსგავსად და დამატებით ჩარიცხვას. იმას კი არ ითვალისწინებენ, რომ სამედიცინო ინსტიტუტის ბაზა ფიზიკურად არ იძლევა ამდენი ექიმის მომზადების შესაძლებლობას, აღნიშნა ქალბატონმა ლიამ.

შესაბამისი უწყებების გვერდის ავლით იქმნებოდა ინსტიტუტები, ფასიანი სასწავლებლები, კოლეჯები, თანაც ხშირად მხოლოდ სახელების გადარქმევით კმაყოფილდებოდნენ, სწავლების შინაარსი კი ძველი რჩებოდა, ძველი და მწირია დღეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზაც. დროის მოთხოვნაა, აღნიშნა მინისტრმა, და ჩვენც ვუჭერთ მხარს: აუცილებლად უნდა გაუქმდეს სავალდებულო საყოველთაო საშუალო განათლება. მიმდინარე სასწავლო წელს გაუქმდება ის პრივილეგიებიც, რომლებსაც მედალი ანიჭებდა მის მფლობელს. მედლისაკენ სწრაფვამ გამოიწვია არაჯანსაღი დამოკიდებულება მასწავლებელსა და მოსწავლეს, სკოლასა და მშობელს შორის. ამიტომ იგი დარჩება მხოლოდ და მხოლოდ ჯილდოდ საშუალო სკოლის კურსის წარმატებით დამთავრებისათვის და მის მფლობელს არავითარ შეღავათს არ მიანიჭებს.

მუშავდება ეროვნული განათლების კონცეფცია. მის საფუძველზე მალე ბევრი საჭირბოროტო საკითხი კანონის სახეს მიიღებს და შესაძლებლობას მისცემს განათლების მუშაკებს ნაწილობრივ მაინც გამოასწორონ წლების მანძილზე ლამის თვითდინებაზე მიშვებული სწავლა-აღზრდის პროცესი.

მინისტრის საუბარმა ცხოველი ინტერესი გამოიწვია. მან უპასუხა ჟურნალისტთა შეკითხვებს.

ასეთ პრესკონფერენციებს საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელი კავშირი მოაწყობს რესპუბლიკის ყველა სამინისტროს ხელმძღვანელებთან.

ნინო თათრულაიძე,
ხს „საქართველოს" კორ.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიების დროებითი დებულების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიების დროებითი დებულება (თან ერთვის).

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს „საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიების დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ" საქართველოს სსრ 1980 წლის 28 მარტის კანონი (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1980 წ. № 3, მუხ. 85).

3. ეს კანონი ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ზ. გამსახურდია

თბილისი. 1990 წლის 27 დეკემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიების

დროებითი დებულება

I. მუდმივი კომისიების ორგანიზაციისა და საქმიანობის ძირითადი პრინციპები. მათი შექმნის წესი

მუხლი 1. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრთაგან ირჩევს მუდმივ კომისიებს, რათა მათ აწარმოონ საკანონპროექტო მუშაობა, წინასწარ განიხილონ და მოამზადონ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს გამგებლობას მიკუთვნებული საკითხები, აგრეთვე ხელი შეუწყონ საქართველოს რესპუბლიკის კანონებისა და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული სხვა გადაწყვეტილებების განხორციელებას, კონტროლი გაუწიონ სახელმწიფო ორგანოებისა და ორგანიზაციების საქმიანობას.

მუხლი 2. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიების ძირითადი ამოცანებია:

შეიმუშაონ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს განსახილველი წინადადებები;

მოამზადონ დასკვნები საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს განსახილველ საკითხებზე;

ხელი შეუწყონ სახელმწიფო ორგანოებსა და ორგანიზაციებს, აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრებს საქართველოს რესპუბლიკის კანონებისა და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სხვა გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის მუშაობაში;

კონტროლი გაუწიონ საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების, სხვა რესპუბლიკური ორგანიზაციების, აგრეთვე ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოებისა და ორგანიზაციების საქმიანობას საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის, საქართველოს რესპუბლიკის კანონებისა და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სხვა გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად;

კონტროლი გაუწიონ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საკავშირო დაქვემდებარების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების საქმიანობას საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით;

ხელი შეუწყონ სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებს, აგრეთვე თანამდებობის პირებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიებზე დეპუტატთა მიერ გამოთქმული წინადადებებისა და შენიშვნების განხილვა — რეალიზაციისადმი კონტროლის განხორციელებაში.

დაკისრებული ამოცანების შესრულებისას საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიები მოწოდებული არიან მთელი თავიანთი მუშაობით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიების დროს და სესიებს შუა პერიოდში ხელი შეუწყონ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს, როგორც საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს, მუდმივ და ეფექტიან საქმიანობას.

მუხლი 3. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიები თავიანთ საქმიანობაში ხელმძღვანელობენ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციით, საქართველოს რესპუბლიკის კანონებითა და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხვა გადაწყვეტილებებით.

მუხლი 4. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ქმნის სამანდატო და სადეპუტატო ეთიკის მუდმივ კომისიას, კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის მუდმივ კომისიას, მუდმივ საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, ეკონომიკური რეფორმის მუდმივ კომისიას, ჰუმანიტარულ და სოციალურ საკითხთა მუდმივ კომისიას, მრეწველობის, ენერგეტიკის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუდმივ კომისიას, სოფლის მეურნეობის, მიწათსარგებლობისა და ეკოლოგიის მუდმივ კომისიას, საგარეო ურთიერთობათა მუდმივ კომისიას, თავდაცვის, ეროვნული უშიშროების და მართლწესრიგის მუდმივ კომისიას, კულტურის, განათლებისა და მეცნიერების მუდმივ კომისიას.

მუხლი 5. მუდმივ კომისიებს ქმნის საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო საქართველოს რესპუბლიკის ამ მოწვევის უზენაესი საბჭოს უფლებამოსილების ვადით კომისიის თავმჯდომარისა და კომისიის წევრების შემადგენლობით. კომისიის წევრთა რაოდენობას განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო. თითოეული მუდმივი კომისია თავისი წევრებისაგან ირჩევს კომისიის თავმჯდომარის მოადგილესა და მდივანს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს თავისი უფლებამოსილების ვადის განმავლობაში შეუძლია შექმნას ახალი მუდმივი კომისიები და შეიტანოს ცვლილებები კომისიათა შემადგენლობაში.

მუდმივი კომისიების შემადგენლობაში არ შეიძლება არჩეულ იქნენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე, მისი მოადგილეები, ის დეპუტატი, რომელიც დანიშნულია საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ, ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ, სხვა მუდმივი კომისიის თავმჯდომარე, მოადგილე ან მდივანი. ერთი და იგივე დეპუტატი არ შეიძლება იყოს ორზე მეტი მუდმივი კომისიის წევრი.

მუხლი 6. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიები პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებული არიან საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წინაშე.

მუდმივი კომისიების საქმიანობას კოორდინაციას უწევს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი.

მუდმივი კომისია ქმნის ქვეკომისიებს, რომელთა შემადგენლობაში შეიძლება შეყვანილ იქნენ როგორც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრები, აგრეთვე ის პირებიც, რომლებიც არ არიან დეპუტატები. მუდმივ კომისიას შეუძლია გარკვეული ვადით შრომითი ხელშეკრულება გააფორმოს ქვეკომისიის იმ წევრს, რომელიც არ არის საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი.

II. მუდმივი კომისიების გამგებლობის საკითხები

მუხლი 7. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიების გამგებლობის საკითხებს, უფლებებსა და მოვალეობებს, ორგანიზაციისა და საქმიანობის წესს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს რეგლამენტი, ეს დებულება, საქართველოს რესპუბლიკის კანონები და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სხვა აქტები.

საქართველოს რესპუბლიკის კანონებსა და უზენაესი საბჭოს სხვა გადაწყვეტილებებს, როგორც წესი, იღებენ მას შემდეგ, რაც პროექტს წინასწარ განიხილავენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს შესაბამისი მუდმივი კომისიები.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, საქართველოს რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტის, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს, აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო არბიტრაჟისა და პროკურატურის კოლეგიების შემადგენლობაში თანამდებობის პირთა არჩევისას და დამტკიცებისას, აგრეთვე შინაგანი ჯარების — ეროვნული გვარდიის სარდლის დანიშვნისას აუცილებელია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს შესაბამისი მუდმივი კომისიის წინასწარი დასკვნა.

მუხლი 8. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სამანდატო და სადეპუტატო ეთიკის კომისიას ევალება;

1) შეამოწმოს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 107-ე მუხლის საფუძველზე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრთა უფლებამოსილება და საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს განსახილველად წარუდგინოს წინადადებანი დეპუტატთა უფლებამოსილების ცნობის შესახებ, ხოლო საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების კანონის დარღვევის შემთხვევაში — ცალკეულ დეპუტატთა არჩევნების ბათილად ცნობის თაობაზე;

2) მოამზადოს და საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების ცენტრალურ საარჩევნო კომისიას წარუდგინოს წინადადებები უზენაესი საბჭოს გამოკლებულ წევრთა ნაცვლად ახალი დეპუტატების არჩევნების ჩატარების შესახებ;

3) საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დავალებით, აგრეთვე თავისი ინიციატივით შეიმუშაოს საქართველოს რესპუბლიკის კანონების, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სხვა აქტების პროექტები და წინადადებები დეპუტატის საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე; მოამზადოს და წარადგინოს დასკვნები კომისიისათვის წინასწარ ან დამატებით განსახილველად გადაცემული ამგვარი საკითხების თაობაზე;

4) მოამზადოს დასკვნები დეპუტატის ხელშეუხებლობასა და დეპუტატის საქმიანობის სხვა გარანტიებთან, აგრეთვე სადეპუტატო ეთიკის, დეპუტატის უფლებამოსილების შეჩერების, შეწყვეტის ან დეპუტატის გაწვევასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

მუხლი 9. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის კომისიას ევალება:

1) საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დავალებით, აგრეთვე თავისი ინიციატივით შეიმუშაოს საქართველოს რესპუბლიკის კანონების, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სხვა აქტების პროექტები, მოამზადოს კანონმდებლობის სრულყოფასთან, მართლმსაჯულების განხორციელებასთან, კანონიერების განმტკიცებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები;

2) განიხილოს კომისიისათვის წინასწარ ან დამატებით განსახილველად გადაცემული საქართველოს რესპუბლიკის კანონების, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სხვა აქტების პროექტები და მოამზადოს შესაბამისი დასკვნები;

3) მონაწილეობა მიიღოს საქართველოს რესპუბლიკის კანონებისა და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სხვა აქტების იმ პროექტების შემუშავებაში, რომლებსაც ამზადებენ შესაბამისი კომისიები;

4) მოამზადოს წინადადებანი საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის კოდიფიკაციისა და სისტემატიზაციის საკითხების შესახებ;

5) მოისმინოს საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების, სხვა ორგანიზაციების, აგრეთვე ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოებისა და ორგანიზაციების, თანამდებობის პირების ინფორმაციები და მოხსენებები კანონიერების განმტკიცების, მოქალაქეთა უფლებებისა და ინტერესების დაცვის, კანონმდებლობის სრულყოფის საკითხებზე.

მუხლი 10. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საგარეო ურთიერთობათა კომისიას ევალება:

1) მოამზადოს და წინასწარ განიხილოს ის საკითხები, რომლებსაც წყვეტს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, რომლებიც ეხება რესპუბლიკის პოლიტიკური, ეკონომიკური, სამეცნიერო, კულტურული და სხვა კავშირურთიერთობის განვითარებას უცხო სახელმწიფოებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, აგრეთვე წარუდგინოს ამ საკითხებზე წინადადებები და დასკვნები რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს;

2) საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დავალებით, აგრეთვე თავისი ინიციატივით შეიმუშაოს საქართველოს რესპუბლიკის კანონების, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სხვა აქტების პროექტები საგარეო პოლიტიკურ და საგარეოეკონომიკურ საკითხებზე;

3) საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დავალებით წინასწარ განიხილოს უზენაესი საბჭოსათვის სარატიფიკაციოდ ან სადენონსაციოდ წარდგენილი საერთაშორისო ხელშეკრულებები, მოამზადოს შესაბამისი დასკვნები;

4) საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს წარუდგინოს სათანადო დასკვნები საზღვარგარეთის ქვეყნებში ან საერთაშორისო ორგანიზაციებში დასანიშნი საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლების კანდიდატურების შესახებ;

5) მოისმინოს ინფორმაცია საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, უწყებების და ორგანიზაციების სხვა სახელმწიფოებთან პოლიტიკური, ეკონომიკური, სამეცნიერო, კულტურული და სხვა კავშირების შესახებ;

6) კონტროლი გაუწიოს იმ სახელმწიფო ორგანოების საქმიანობას, რომლებიც აწარმოებენ საგარეოეკონომიკური ურთიერთობების რეგისტრაციას;

7) მისცეს შესაბამისი რეკომენდაციები საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს იმ სახელმწიფო ორგანიზაციებში და დაწესებულებებში დასანიშნი ხელმძღვანელი მუშაკების კანდიდატურების შესახებ, რომლებიც ახორციელებენ საგარეო ეკონომიკურ საქმიანობას.

მუხლი 11. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დარგობრივ კომისიებს ევალებათ თავიანთი დარგების მიხედვით მოამზადონ საქართველოს რესპუბლიკის კანონების, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სხვა აქტების პროექტები, განახორციელონ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიების ამ დებულებით განსაზღვრული უფლებამოსილებანი.

მუხლი 12. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს რამდენიმე მუდმივი კომისიის გამგებლობის საკითხები კომისიის ინიციატივით, აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ან მისი პრეზიდიუმის დავალებით კომისიებმა შეიძლება ერთობლივად მოამზადონ და განიხილონ.

მუდმივ კომისიას შეუძლია მიიღოს სხვა მუდმივ კომისიათა დასკვნები მის მიერ განსახილველი საკითხების შესახებ.

მუხლი 13. თუ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივ კომისიას მიაჩნია, რომ მისთვის განსახილველად გადაცემული საკითხი სხვა კომისიის გამგებლობასაც განეკუთვნება, ან თუ საჭიროდ თვლის გამოთქვას თავისი აზრი სხვა მუდმივი კომისიის მიერ განსახილველ საკითხზე, მას უფლება აქვს შეიტანოს წინადადება ამის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოსა და მის პრეზიდიუმში.

III. მუდმივი კომისიების უფლება-მოვალეობანი

მუხლი 14. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიები თავიანთი გამგებლობის საკითხების განხილვისას თანაბარი უფლებებით სარგებლობენ და თანაბარი მოვალეობები აკისრიათ.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივ კომისიებს აქვთ საკანონმდებლო ინიციატივის უფლება საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში.

მუხლი 15. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივ კომისიებს შეუძლიათ გამოვიდნენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სხდომებზე მოხსენებებით და თანამოხსენებებით თავიანთი გამგებლობის საკითხებზე.

მუდმივი კომისიები საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში მათ მიერ შეტანილ საკითხებზე ანდა კომისიებისათვის წინასწარ ან დამატებით განსახილველად გადაცემულ საკითხებზე გამოყოფენ თავიანთ მომხსენებლებს ან თანამომხსენებლებს.

მუდმივი კომისიების მიერ ერთობლივად მომზადებულ საკითხებზე კომისიებს შეუძლიათ გამოვიდნენ ერთობლივი მოხსენებებითა და თანამოხსენებებით ან ცალ-ცალკე წარმოადგინონ თავიანთი შენიშვნები და წინადადებები.

მუხლი 16. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივ კომისიებს უფლება აქვთ შეიტანონ საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში წინადადებანი საქართველოს რესპუბლიკის კანონების პროექტების ან რესპუბლიკის სახელმწიფო ცხოვრების სხვა მნიშვნელოვანი საკითხების, აგრეთვე კანონპროექტების სახალხო განხილვისათვის გამოქვეყნების თაობაზე.

სახალხო განხილვის მსვლელობაში კანონპროექტებისა და სხვა საკითხების თაობაზე მოქალაქეების, შრომითი კოლექტივების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ შემოტანილ წინადადებებს განიხილავენ და განაზოგადებენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ დადგენილი წესით და მოახსენებენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს საქართველოს რესპუბლიკის კანონის პროექტის ან სხვა საკითხის განხილვისას.

მუხლი 17. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივ კომისიებს თავიანთი გამგებლობის საკითხებზე შეუძლიათ მოუსმინონ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოების, სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანოების წარმომადგენლებს, საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების, სხვა რესპუბლიკური და ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საკავშირო დაქვემდებარების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს.

აღნიშნული ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლები და ხელმძღვანელები ვალდებული არიან მუდმივი კომისიის წინადადებით გამოცხადდნენ კომისიის სხდომაზე და წარადგინონ განმარტებანი კომისიის მიერ განსახილველ საკითხებზე. ამასთან, მუდმივი კომისიები დროულად აუწყებენ შესაბამის ორგანოებსა და ორგანიზაციებს საკითხების განხილვის თაობაზე.

მუხლი 18. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივ კომისიებს უფლება აქვთ თავიანთი გამგებლობის საკითხებზე სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებსა და ორგანიზაციებს, თანამდებობის პირებს მოსთხოვონ წარუდგინონ მათ დოკუმენტები, წერილობითი დასკვნები, საანგარიშო მონაცემები და სხვა მასალები.

ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანო, ორგანიზაცია და თანამდებობის პირი ვალდებულია შეასრულოს მუდმივი კომისიების მოთხოვნები, წარუდგინოს მათ საჭირო მასალები და დოკუმენტები.

მუხლი 19. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიების რეკომენდაციები ეგზავნებათ შესაბამის ორგანოებს, საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს და მათ შესახებ ეცნობება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში — საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოებს, სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს.

მუდმივი კომისიების რეკომენდაციები აუცილებლად უნდა განიხილონ სახელმწიფო და საზოგადოებრივმა ორგანოებმა, საწარმოებმა, დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა. განხილვის შედეგების ან მიღებული ზომების შესახებ უნდა ეცნობოთ კომისიებს არა უგვიანეს ორი თვის ვადისა ან კომისიების მიერ დადგენილ სხვა ვადაში.

მუხლი 20. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივ კომისიებს უფლება აქვთ წინადადებანი შეიტანონ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში.

მუდმივ კომისიებს უფლება აქვთ შეკითხვის წესით მიმართონ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, მინისტრებსა და იმ ორგანოთა ხელმძღვანელებს, რომლებსაც ქმნის საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საკავშირო დაქვემდებარების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს საქართველოს რესპუბლიკის გამგებლობის საკითხებზე.

მუხლი 21. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივ კომისიებს უფლება აქვთ თავიანთ მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მიიზიდონ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრები, რომლებიც არ შედიან კომისიის შემადგენლობაში, აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, უწყებების, სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოებისა და ორგანიზაციების, სამეცნიერო დაწესებულებების წარმომადგენლები, სპეციალისტები და მეცნიერები.

მუხლი 22. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიების წევრები მოვალენი არიან მონაწილეობა მიიღონ კომისიების საქმიანობაში, ხელი შეუწყონ მათი გადაწყვეტილებების განხორციელებას, შეასრულონ კომისიათა დავალებები.

მუდმივი კომისიის წევრი სარგებლობს გადამწყვეტი ხმის უფლებით ყველა საკითხში, რომლებსაც კომისია იხილავს. მას უფლება აქვს დააყენოს საკითხები მუდმივი კომისიის განსახილველად და მონაწილეობა მიიღოს მათს მომზადებასა და განხილვაში; შეიტანოს წინადადებები სახელმწიფო ორგანოებისა და ორგანიზაციების მუშაობის შემოწმების საჭიროების შესახებ, კომისიის სხდომაზე მათი ანგარიშების ან ინფორმაციების მოსმენის თაობაზე.

მუდმივი კომისიის წევრს, რომლის წინადადებებსაც კომისიამ მხარი არ დაუჭირა, შეუძლია წერილობით ან ზეპირად შეიტანოს ისინი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს განსახილველად.

მუდმივი კომისიის წევრს უზრუნველყოფილი აქვს პირობები კომისიის მიერ განსახილველი ყველა საკითხის გადაჭრაში აქტიური მონაწილეობისათვის; მას ამისათვის ეგზავნება საჭირო დოკუმენტები და სხვა მასალები.

მუხლი 23. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიების წევრები კომისიის დავალებით და თავისი ინიციატივით ადგილებზე სწავლობენ კომისიის გამგებლობის საკითხებს, განაზოგადებენ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოებისა და ორგანიზაციების, აგრეთვე მოქალაქეთა წინადადებებს, თავიანთ დასკვნებსა და წინადადებებს აცნობებენ კომისიას.

IV. მუდმივი კომისიების მუშაობის წესი

მუხლი 24. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიები მუშაობენ თავიანთ სხდომებზე დამტკიცებული გეგმების შესაბამისად.

მუხლი 25. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიების სხდომებს იწვევენ საჭიროების მიხედვით და ეს სხდომები შეიძლება გაიმართოს როგორც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიების დროს, ისე სესიებს შუა პერიოდში.

მუხლი 26. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიების სხდომები უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

კომისიის წევრი, თუ მას სხდომაზე ჩამოსვლა არ შეუძლია, ამის შესახებ ატყობინებს მუდმივი კომისიის თავმჯდომარეს.

მუხლი 27. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივ კომისიებში ყველა საკითხი წყდება კომისიის წევრთა საერთო შემადგენლობის ხმების უბრალო უმრავლესობით.

რამდენიმე მუდმივი კომისიის ერთობლივი სხდომის ჩატარებისას გადაწყვეტილებებს იღებენ თითოეული კომისიის წევრთა საერთო შემადგენლობის ხმების უბრალო უმრავლესობით.

მუხლი 28. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიის სხდომაში სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობა მიღება შეუძლიათ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრებს, რომლებიც არ შედიან ამ კომისიის შემადგენლობაში.

მუხლი 29. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიების სხდომებზე შეიძლება მოიწვიონ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოებისა და ორგანიზაციების, სამეცნიერო დაწესებულებების წარმომადგენლები, სპეციალისტები და მეცნიერები, რომლებიც სხდომებში მონაწილეობენ სათათბირო ხმის უფლებით.

საჭიროების შემთხვევაში მუდმივ კომისიას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება დახურული სხდომის ჩატარების შესახებ.

მუხლი 30. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივ კომისიებს მათ მიერ განსახილველი საკითხების მოსამზადებლად შეუძლიათ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრთაგან, შესაბამისი სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, უწყებების, სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოებისა და ორგანიზაციების, სამეცნიერო დაწესებულებების წარმომადგენლებისაგან, სპეციალისტებისა და მეცნიერებისაგან შექმნან მოსამზადებელი კომისიები და სამუშაო ჯგუფები.

მუდმივ კომისიებს შეუძლიათ შექმნან ერთობლივი მოსამზადებელი კომისიები და სამუშაო ჯგუფები.

მუხლი 31. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიის თავმჯდომარე, რომელიც ხელმძღვანელობს მის მუშაობას:

— იწვევს კომისიის სხდომებს და ორგანიზაციას უწევს სხდომებისათვის საჭირო მასალების მომზადებას;

— დავალებას აძლევს კომისიის წევრებს, უგზავნის მათ კომისიის საქმიანობასთან დაკავშირებულ მასალებსა და დოკუმენტებს;

— გამოიძახებს კომისიის წევრებს მოსამზადებელ კომისიებსა და სამუშაო ჯგუფებში მუშაობისათვის, აგრეთვე კომისიის სხვა დავალებათა შესასრულებლად;

— კომისიის სხდომებში მონაწილეობისათვის იწვევს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლებს, სპეციალისტებსა და მეცნიერებს;

— თავმჯდომარეობს კომისიის სხდომებს;

— წარმომადგენლობს კომისიას სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებსა და ორგანიზაციებთან ურთიერთობაში;

— ორგანიზაციას უწევს მუშაობას კომისიის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად;

— ინფორმაციას აწვდის საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს კომისიაში განხილული საკითხების, აგრეთვე კომისიის რეკომენდაციათა სარეალიზაციოდ მიღებული ზომების შესახებ;

— ინფორმაციას აწვდის კომისიის წევრებს კომისიის გადაწყვეტილებათა შესრულებისა და მის რეკომენდაციათა განხილვის შესახებ.

კომისიების ერთობლივ სხდომებს რიგ-რიგობით ატარებენ ამ კომისიათა თავმჯდომარეები.

მუხლი 32. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიის გადაწყვეტილებებს და დასკვნებს ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე. მუდმივი კომისიების მიერ ერთობლივად მიღებულ დადგენილებებსა და ერთობლივად მომზადებულ დასკვნებს ხელს აწერენ შესაბამისი კომისიების თავმჯდომარეები.

მუდმივი კომისიის სხდომის ოქმს ხელს აწერს კომისიის მდივანი. მუდმივი კომისიების გაერთიანებულ სხდომათა ოქმებს ხელს აწერენ შესაბამისი კომისიების მდივნები.

მუხლი 33. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიები საზოგადოებრიობას ინფორმაციას აწვდიან თავიანთი საქმიანობის შესახებ.

მუდმივი კომისიების, ქვეკომისიების, მოსამზადებელი კომისიებისა და სამუშაო ჯგუფების სხდომებზე შეიძლება მოიწვიონ პრესის, ტელევიზიისა და რადიოს წარმომადგენლები.

ცნობები მუდმივ კომისიათა მუშაობის შესახებ ქვეყნდება „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებებსა" და რესპუბლიკურ გაზეთებში.

მუხლი 34. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიების საქმიანობის მომსახურებას უზრუნველყოფს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სამდივნო.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო დროშის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. დამტკიცდეს დებულება საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო დროშის შესახებ (თან ერთვის).

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1981 წლის 18 ივნისის ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო დროშის შესახებ დებულება (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1981 წ., № 6, მუხ. 109).

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ზ. გამსახურდია.

თბილისი. 1990 წლის 28 დეკემბერი.

დებულება

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო დროშის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს ეროვნული და სახელმწიფო დროშა არის მართკუთხედის ფორმის ქართული წითელი ფერის (შინდისფერი) ქსოვილი, რომელსაც ტარის მხარეს, ზედა კუთხეში, აქვს შავი (ზემოთ) და თეთრი (ქვემოთ) ზოლები.

დროშის სიგანის შეფარდება სიგრძესთან არის 3:5, თითოეული ზოლის (შავისა და თეთრის) სიგანე არის დროშის სიგანის 1/5, ხოლო სიგრძე — დროშის სიგრძის 2/5.

მუხლი 2. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო დროშა აღიმართება:

ა) საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს შენობაზე — მუდმივად, აგრეთვე იმ შენობაზე, სადაც ტარდება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესია, — სესიის მთელ პერიოდში;

ბ) საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს შენობაზე — მუდმივად;

გ) საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოს შენობაზე — მუდმივად, აგრეთვე იმ შენობაზე, სადაც ტარდება სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოს სხდომები, — სხდომების მთელ პერიოდში;

დ) საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანოს შენობაზე — მუდმივად;

ე) აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოების პრეზიდიუმების შენობებზე — მუდმივად, აგრეთვე იმ შენობებზე, სადაც ტარდება აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოების სესიები, — სესიის მთელ პერიოდში;

ვ) აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოების შენობებზე — მუდმივად;

ზ) საქართველოს რესპუბლიკის, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების, სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების, აგრეთვე საცხოვრებელი სახლების შენობებზე:

1 იანვარს — ახალ წელს;

7 იანვარს — უფლისა, ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტეს შობის დღეს;

19 იანვარს — ნათლისღებას — უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს განცხადების დღეს;

უფლისა, ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის დღეს (თარიღი გარდამავალია);

მიცვალებულთა მოხსენიების დღეს (აღდგომის მეორე დღე, ორშაბათი, თარიღი გარდამავალია);

26 მაისს — საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღეს;

28 აგვისტოს — ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების დღეს (მარიამობას);

14 ოქტომბერს — მცხეთობის (სვეტიცხოვლობის, კვართის დღესასწაულის) დღეს;

23 ნოემბერს — გიორგობის დღეს.

ნებადართულია საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო დროშა ამ მუხლში მითითებულ შენობებზე აღიმართოს სხვა დღესასწაულებსა და სამახსოვრო დღეებშიც;

თ) საქართველოს რესპუბლიკის დიპლომატიური წარმომადგენლობების და საკონსულო დაწესებულებების შენობებსა და მიმოსვლის საშუალებებზე — თანახმად საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინსტრუქციისა, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო;

ი) საზღვაო გემებსა და საზღვაო მიმოსვლის სხვა საშუალებებზე, რომელთა მიწერის ადგილია საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორია;

კ) საზღვაო და შინაგანი მიმოსვლის გემებსა და მიმოსვლის სხვა საშუალებებზე, რომლებზეც ოფიციალური პირების სახით იმყოფებიან: საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ან სხვა პირები, რომლებიც წარმოადგენენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის დიპლომატიური წარმომადგენლები და კონსულები — აღნიშნულ პირთა თანხმობით;

ლ) საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს განკარგულებით.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო დროშა შეიძლება აღიმართოს აგრეთვე სახელმწიფო ან სხვა საზოგადოებრივი ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ განხორციელებული ცერემონიებისა და სხვა საზეიმო ღონისძიებების დროს.

მუხლი 3. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო დროშასთან ერთად აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო დროშების, აგრეთვე სხვა ქვეყნების დროშების აღმართვის დროს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო დროშის ზომა არ შეიძლება იყოს ავტონომიური რესპუბლიკის ან სხვა ქვეყნის სახელმწიფო დროშის ზომაზე ნაკლები.

მუხლი 4. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო დროშა და მისი გამოსახულება, მიუხედავად ზომისა, ყოველთვის ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს კანონს თანდართულ ფერად და სქემატურ გამოსახულებას.

მუხლი 5. ამ დებულების გამოყენების წესს ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო გერბის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. დამტკიცდეს დებულება საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო გერბის შესახებ (თან ერთვის).

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1981 წლის 18 ივნისის ბრძანებულება „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო გერბის შესახებ დებულების დამტკიცების შესახებ" (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1981., № 6, მუხ. 108).

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ზ. გამსახურდია.

თბილისი. 1990 წლის 28 დეკემბერი.

დებულება

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო გერბის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო გერბი არის ეროვნული ოქროსფერი ჩუქურთმით შემოსაზღვრული შვიდქიმიანი ვარსკვლავი, რომელსაც ორნამენტში ქიმების გასწვრივ ჩაწნული აქვს შვიდი შავარშიანი თეთრი ბოლნური ჯვარი. როგორც ჯვრების, ასევე ვარსკვლავის ქიმების შიდა ველები ქართული წითელი ფერისაა (შინდისფერია).

ვარსკვლავის გულზე მოთავსებულია მრგვალი ქართული ფარი ქართული წითელი ფერის (შინდისფერი) ველით, რომელზეც გამოსახულია ოქროსფლოქვებიან თეთრ ცხენზე ამხედრებული თეთრი გიორგი. მას მარჯვენა ხელში საბრძოლოდ შემართული ვერცხლისპირიანი ოქროს შუბი უპყრია, ხოლო მარცხენაში — ოქროსზოლიანი ფარი.

თეთრ გიორგის აცვია ალისფერი შარვალი და ოქროსფერი წაღები, შემოსილია ვერცხლისფერუჯრედებიანი ცისფერი ჯავშნითა და თეთრი მოსასხამით, ჯავშნის ქვეშ მოუჩანს ყავისფერი (მიხაკისფერი) ტყავის პერანგი.

თეთრი გიორგის ცხენს უნაგირის ქვეშ დაფენილი აქვს ვეფხვის ტყავი. უნაგირი ოქროსია, ხოლო უზანგი — ვერცხლისა.

თეთრი გიორგის თავს ზემოთ რვაქიმიანი ვერცხლისფერი ვარსკვლავია. ვარსკვლავის მარჯვნივ არის ვერცხლისფერი მთვარე, ხოლო მარცხნივ — ოქროსფერი მზე. მთვარისა და მზის გასწვრივ ორ-ორი რვაქიმიანი ვერცხლისფერი ვარსკვლავია.

(დასასრული მე-3 გვ.)

დებულება

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო გერბის შესახებ

(დასასრული)

თეთრი გიორგის ცხენს ქვემოთ შავი ფერით გამოსახულია მთის მწვერვალი.

მუხლი 2. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო გერბის გამოსახულება თავსდება:

ა) საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროებისა და სახელმწიფო კომიტეტების, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სხვა საქვეუწყებო ორგანოების შენობებზე, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების, საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების, საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოების შენობებზე (აბრებზე), აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების შენობებზე;

ბ) დარბაზებში, სადაც ტარდება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების სხდომები, საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების სასამართლო სხდომათა დარბაზებში, აგრეთვე დაბადებისა და ქორწინების საზეიმო რეგისტრაციის შენობებში;

გ) საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროებისა და სახელმწიფო კომიტეტების, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სხვა საქვეუწყებო ორგანოების, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების, საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების, სახელმწიფო სანოტარო კანტორების, აგრეთვე რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ბეჭდებსა და დოკუმენტების ბლანკებზე, რომელთაც ბეჭდებსა და დოკუმენტების ბლანკებზე გერბის გამოსახულების მოთავსების უფლება მინიჭებული აქვთ საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით;

დ) საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ოფიციალურ გამოცემებზე;

ე) საქართველოს რესპუბლიკის ფულსა და ლატარიის ბილეთებზე.

საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო გერბის გამოსახულების სავალდებულო რეპროდუცირების სხვა შემთხვევებიც.

მუხლი 3. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო გერბის გამოსახულების რეპროდუცირება, მისი ზომების მიუხედავად, ყოველთვის ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს გერბის ფერად ან შავთეთრ გამოსახულებას, რომელიც თან ერთვის ამ დებულებას.

მუხლი 4. ამ დებულების გამოყენების წესებს გამოსცემს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

საქართველოს რესპუბლიკის შრომის კანონთა კოდექსის 64-ე მუხლში ცვლილებების შეტანის შესახებ

„არსებული უქმე დღეების გაუქმებისა და ტრადიციულთა აღდგენის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 22 ნოემბრის კანონის შესაბამისად, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს**:

შეტანილ იქნეს ცვლილებები საქართველოს რესპუბლიკის შრომის კანონთა კოდექსის 64-ე მუხლში (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1973 წ., № 6, მუხ. 118; 1977 წ., № 11, მუხ. 158) და იგი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 64. უქმე დღეები

საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები არ მუშაობენ შემდეგ უქმე დღეებში:

1 იანვარს — ახალ წელს;

7 იანვარს — უფლისა, ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტეს შობის დღეს;

19 იანვარს — ნათლისღებას — უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს განცხადების დღეს;

უფლისა, ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის დღეს (თარიღი გარდამავალია);

მიცვალებულთა მოხსენიების დღეს (აღდგომის მეორე დღე, ორშაბათი, თარიღი გარდამავალია);

26 მაისს — საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღეს;

28 აგვისტოს — ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების დღეს (მარიამობას);

14 ოქტომბერს — მცხეთობის (სვეტიცხოვლობის, კვართის დღესასწაულის) დღეს;

23 ნოემბერს — გიორგობის დღეს.

უქმე დღეებში დასაშვებია მხოლოდ ისეთი სამუშაოები, რომელთა შეჩერება შეუძლებელია საწარმოო-ტექნიკური პირობებით (უწყვეტად მოქმედი საწარმო, დაწესებულება, ორგანიზაცია), სამუშაოები, რომლებიც გამოწვეულია მოსახლეობის მომსახურების აუცილებლობით, აგრეთვე გადაუდებელი საავარიო-სარემონტო და დატვირთვა-განტვირთვის სამუშაოები".

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ზ. გამსახურდია.

თბილისი. 1990 წლის 28 დეკემბერი.

პოლიტიკური გზაჯვარედინი

მონარქიის აღდგენის იდეა ძალას იკრებს



1942 წელს ბერლინში დაარსებული და ახლახან თბილისში აღდგენილი ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი, თანამედროვე პოლიტიკური ცხოვრების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ძალად იქცა საქართველოში. 29 დეკემბერს, რუსთაველის სახელობის აკადემიურ თეატრში გამართული საგანგებო ყრილობის შედეგად, რესპუბლიკის მმართველ საპარლამენტო კოალიციაში შემავალ ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირში გაერთიანდა რესპუბლიკურ-ფედერალური პარტია. როგორც ჩანს, ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში დასაბამი მიეცა პატარ-პატარა პოლიტიკური დაჯგუფებების ურთიერთშერწყმას, გამსხვილებას, რაც, უდავოდ, პოლიტიკური აზროვნების მომწიფულობის ნიშანია. საგანგებო ყრილობის მონაწილე ხუთასმა წევრმა ერთხმად მოიწონა პოლიტიკური ორგანიზაციების გაერთიანება. ამ ორი მნიშვნელოვანი ძალის ერთ პოლიტიკურ ორგანიზაციად გადაქცევა კონსტიტუციური მონარქიის აღდგენის იდეას, ალბათ, კიდევ უფრო პოპულარულსა და მიმზიდველს გახდის ახლო მომავალში.

— ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირსა და საქართველოს რესპუბლიკურ-ფედერალურ პარტიას, კონსერვატიული ღირებულებების აღორძინება-განმტკიცებისა და მამულის მტრის ხელიდან დახსნის სურვილი წინათაც აკავშირებდათ ერთმანეთთან, — განაცხადა ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის თავმჯდომარემ, რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ბატონმა აკაკი ასათიანმა. — ეს ყველაფერი შემდგომში ჩვენი გაერთიანების იდეურ პლატფორმად გადაიქცა. დასამალი როდია, ჩვენი გაერთიანების ინიციატივა სწორედ რესპუბლიკურ-ფედერალურ პარტიას ეკუთვნის.

დღევანდელი საგანგებო ყრილობის მეშვეობით გაფორმდა ჩვენს შორის მიღწეული იდეოლოგიური შეთანხმება, რის შედეგადაც ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი საგრძნობლად გაძლიერდა და განმტკიცდა. ორმხრივი შეთანხმების თანახმად, გადაწყდა, რომ ორგანიზაციას კვლავაც ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის სახელწოდება შერჩეს. ბაგრატოვანთა სამეფოს აღდგენის იდეას ჩვენს შორის არავითარი წინააღმდეგობა არ გამოუწვევია, ორივე ორგანიზაციას ღრმად გვწამდა და გვწამს, რომ ეროვნული სახელმწიფოს შენებისას გასათვალისწინებელია ქართული ტრადიცია.

— ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირისა და რესპუბლიკურ-ფედერალური პარტიის გამაერთიანებელი ყრილობა, საქართველოში არსებული მცირე პოლიტიკური დაჯგუფებების გაერთიანების აუცილებლობის ნათელი მაგალითია, — თქვა რესპუბლიკურ-ფედერალური პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა, ბატონმა დავით მაროანმა. — სწორედ დაქსაქსული, სუსტი წინასაარჩევნო ბრძოლის შედეგია ის, რომ პოტენციურად საკმაოდ ძლიერი ბლოკი „თავისუფლება" პარლამენტს მიღმა დარჩა. „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს" ბლოკის წინასაარჩევნო ბრძოლის ტაქტიკის გაუზიარებლობამ განაპირობა ჩვენი ბლოკის კრახი. თანამედროვე პირობებში მდგომარეობა თანდათანობით იცვლება, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება ჩვენგან გაერთიანებას, შეკავშირებას მოითხოვს.

ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირისა და რესპუბლიკურ-ფედერალური პარტიის გამაერთიანებელი საგანგებო ყრილობის დასასრულს, დელეგატებმა ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის თავმჯდომარედ კვლავ საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ბატონი აკაკი ასათიანი აირჩიეს. კავშირის თავმჯდომარის მოადგილედ არჩეულია ბატონი ბადრი ფხალაძე. ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირიდან საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში შემავალ დეპუტატთა სპიკერად არჩეულია ბატონი გიზო კორძაძე, ამავე კავშირის აღმასრულებელ მდივნად — ბატონი დავით მარღანია.

ყრილობის დამსწრე საზოგადოებას მიესალმნენ ინგუში ხალხის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ბატონი ისა კოძოევი, საქართველოში მცხოვრები ბაგრატოვანთა გვარის წარმომადგენლები.

ყრილობაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ბატონმა ზვიად გამსახურდიამ.

მიღებულია ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის წესდება. ყრილობამ მიმართვები გაუგზავნა მის სამეფო უმაღლესობას ბატონიშვილ გიორგი ბაგრატიონს, ქართველ ერს.

პაატა ცინცაძე,
სს „საქართველო"

სურათზე: ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირისა და რესპუბლიკურ-ფედერალური პარტიის გაერთიანებული ყრილობა.

ბიბი კიკვაძის ფოტო (საქინფორმი).

საკუთარ სახლში

პრესის თავისუფლება თავისუფალი საზოგადოების საფუძველია

„**პრესისა** და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის იმ კანონპროექტიდან მოყვანილი ეს სიტყვები, რომელიც საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის გამოდის, საქართველოს დამოუკიდებელ პროფკავშირთა კონფედერაციის შენობაში 29 დეკემბერს გამართული პრესკონფერენციის ლაიტმოტივი გახდა. მისი მოწყობის ინიციატორი იყო საქართველოს საინფორმაციო ცენტრი „იბერია".

აზრთა გაზიარებაში მონაწილეობდნენ „იბერიის" თავმჯდომარე კახა გაგლოშვილი, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრესცენტრის ხელმძღვანელი თენგიზ დიხამინჯია, საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელი კავშირის გამგეობის მდივანი აკაკი სიხარულიძე, ჟურნალისტი გიორგი ლაპიაშვილი და სხვები.

მიღებულია გადაწყვეტილება შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც თავს მოუყრის თანამოკალმეთა, რედაქციების და სხვადასხვა გამოცემის მუშაკთა ყველა კონსტრუქციულ, საყურადღებო წინადადებას. თუმცა, სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა შეიძლება გაფართოვდეს იმათ ხარჯზე, ვისაც შეუძლია და მზად არის სარგებლობა მოუტანოს თავისი კონკრეტული საქმიანობით. მსურველებს უკვე ახალი წლის 4 იანვრამდე შეუძლიათ მოგვმართონ მისამართით: გრიბოედოვის ქუჩა, № 19, ოთახი №34, ტელეფონი 99-08-19.

სამუშაო ჯგუფის პირველი სხდომა გაიმართება იქვე 8 იანვარს 13 საათზე.

სს „საქართველო"-საქინფორმი

ბლიც-ინტერვიუ

როგორ საჩუქარს ჰპირდება თოვლის პაპა პატარებს?

ამ კითხვით მივმართეთ საქართველოს პროფკავშირების კონფედერაციის დემოგრაფიის, ქალთა და ოჯახთა დახმარების ქვეკომისიის რეფერენტს ქ-ნ სვეტლანა ჩოჩუასა და თბილისის სპორტის სასახლის დირექტორს თენგიზ ლომიძეს.

ს. ჩოჩუა: — მიუხედავად ქალაქში საკონდიტრო ნაწარმის დეფიციტისა, საახალწლო საჩუქრებს მოამზადებენ თბილისის სავაჭრო სამმართველოს რაიონული განყოფილებები. 4 ფილა შოკოლადი და 3 ცალი ნამცხვარი ელით პატარებს კულტურის სახლებსა და სპორტის სასახლეში, სადაც სრულიად განსხვავებულ პროგრამას უჩვენებენ წინა წლებთან შედარებით. ეს არის ოღონდ რომ საკონდიტრო დეფიციტის გამო სპორტის სასახლე ნაცვლად 250 ათასი საჩუქრისა, 100 ათასს მიიღებს. სხვა მხრივ კი ზეიმის მონაწილენი უკმაყოფილონი არ დარჩებიან.

თ. ლომიძე: — ჯერ კიდევ მაისიდან დავიწყეთ მზადება საახალწლო პროგრამისათვის. მისმა ღირებულებამ 100 ათას მანეთს მიაღწია 250 ათასი კაცისათვის. მაგრამ რა გამოვიდა! 150000 საჩუქარი დაგვაკლო პროფკავშირების კონფედერაციამ საკონდიტრო ნაწარმის დეფიციტის გამო. ახლა ყოველ მესამე ბავშვზე მოგვიწევს საჩუქრის გაცემა, რაც მე პირადად სწორად არ მიმაჩნია. ან ყველას დარიგებოდა, ანდა სულ მოხსნილიყო, ყველაზე უხერხულ ვითარებაში სპორტის სასახლის ადმინისტრაცია აღმოჩნდა, რადგან საჩუქრის შემოტანა-გასაღება მას არ ევალება, ამდენად წლევანდელი ღონისძიება, მიუხედავად მისი მაღალმხატვრული, დონისა, უნებურად გამოიწვევს გარკვეულ უკმაყოფილებას მოსახლეობაში, რისთვისაც წინასწარ ვიხდით ბოდიშს.

ია კალანდარიშვილი.

საზღვარგარეთ

პარლამენტართა დუმილში

ლონდონი, 28 დეკემბერი. (საკდესი). სამხედრო გადატრიალების შედეგად პოსტიდან გადაყენებული სურინამის პრეზიდენტი — რომსევაკ შანკარი ოფიციალურად გადადგა, იუწყება სამხრეთ ამერიკის ამ ქვეყნის დედაქალაქ პარამარიბოდან ინგლისის საინფორმაციო სააგენტო რეიტერი.

პრეზიდენტისა და მისი მინისტრთა კაბინეტის წევრთა გადადგომის ამბავი გამოაცხადა ვიცე-პრეზიდენტმა ჰენკ არონმა, რომელმაც წაიკითხა შანკარის განცხადება ეროვნული ასამბლეის (პარლამენტის) დეპუტატთა წინაშე. პრეზიდენტის ეს წერილი წაიკითხეს პარლამენტართა სამარისებურ დუმილში. შანკარმა აღნიშნა, რომ პრეზიდენტის პოსტს ტოვებს „უკანასკნელი პოლიტიკური ამბებისა და ჩვენს საზოგადოებაში შექმნილი ვითარების გამო". ერთ-ერთი ადგილობრივი ჟურნალისტის აზრით, რომელმაც ითხოვა არ დაასახელონ მისი გვარი, შანკარი, არონი და კაბინეტის სხვა წევრები თავიანთ პოსტებს „ავტომატის ლულის ქვეშ" ტოვებენ.

ფიდელ კასტროს გამოსვლა

ჰავანა, 29 დეკემბერი. (საკდესი). გულდასმით უნდა გავაანალიზოთ კუბის სახალხო ხელისუფლების ორგანოების, სახელმწიფო ინსტიტუტებისა და პარტიული დაწესებულებების სტრუქტურა, რომლებსაც მეტისმეტად გაბერილი შტატები აქვთ. — განაცხადა კუბის ხელმძღვანელმა ფიდელ კასტრომ, რომელიც სახალხო ხელისუფლების (პარლამენტის) მესამე მოწვევის ეროვნული ასამბლეის მერვე სესიის დახურვაზე გამოვიდა.

დაახასიათა რა რესპუბლიკის ახლანდელი მდგომარეობა, ფ. კასტრომ თქვა, რომ ვალუტის მარაგი ახლა განსაკუთრებით შეზღუდულია, სავაჭრო ურთიერთობა აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან პრაქტიკულად შეწყდა, საბჭოთა კავშირი კი სერიოზულ პრობლემებს აწყდება.

მიმართა რა დეპუტატებს, კუბის ლიდერმა აღნიშნა ვითარების აბსურდულობა, რომლის დროს ქვეყანაში ერთი მხრივ არ ჰყოფნით სამომხმარებლო საქონელი, ხოლო მეორე მხრივ — სახელმწიფო და პარტიულ აპარატს ჭარბად ჰყავს პერსონალი, ამასთან სხვა დარგების საწარმოებში არიან მუშაკები, რომლებიც პრაქტიკულად არაფერს არ აკეთებენ.

ახლა მიმდინარე კუბის კომპარტიის მეოთხე ყრილობისათვის მზადების დროს მისი ცენტრალური კომიტეტი აქტიურად მუშაობს, რათა მოახდინოს თავისი დაწესებულებების საქმიანობის რეორგანიზაცია და რაციონალიზაცია და ასობით პარტიული მუშაკი უკვე გაიგზავნა წარმოებაში, განაცხადა მან. ამგვარი პროცესები მიმდინარეობს ადმინისტრაციულ-სამეურნეო ორგანოებშიც.

ქალაქ ასოსას აღდგენა

ადის-აბება. ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ ასოსას — დასავლეთ ეთიოპიაში იმავე სახელწოდების პროვინციის ადმინისტრაციულ ცენტრს „აჩრდილთა ქალაქს" უწოდებდნენ. სულ რამდენიმე დღის მანძილზე იყო იგი ორომოს განთავისუფლების ფრონტის ოპოზიციური დაჯგუფების ხელში, მაგრამ ეს საკმარისი აღმოჩნდა ოპოზიციის რაზმებისათვის, რათა თითქმის მთლიანად დაენგრიათ სამრეწველო საწარმოები, ელექტრო და წყალმომარაგების სისტემები, შენობები სადაც მოსახლეობის სოციალური მომსახურების დაწესებულებები იყო განლაგებული, აეფეთქებინათ მდინარე დაბუსის ხიდი.

ახლა სიცოცხლე ქალაქში ღორძინდება, წერს გაზეთ „სერტო ადერში" ასოსას პროვინციის ეთიოპიის მუშათა პარტიის კომიტეტის პირველი მდივანი ჯოტე ჩიმსა. ამუშავდა საწარმოები და სახელმწიფო დაწესებულებები, გაიხსნა მაღაზიები, შეკეთებულია დანგრეული სახლების უმრავლესობა. ქალაქელებს სახლებში კვლავ აწვდიან სასმელ წყალსა და ელექტრობას. პირველი პაციენტები მიიღო საავადმყოფომ, ბავშვთა ხმები გაისმა სკოლებში. ასაფრენ-დასაჯდომი ზოლის რემონტის შემდეგ განახლდა ეროვნული ავიაკომპანიის თვითმფრინავების ფრენა.

ვინ იყო წინააღმდეგი

„**საბჭოთა** სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი" — სსრკ სახალხო დეპუტატთა IV ყრილობის მონაწილეებმა მხარი დაუჭირეს სახელმწიფოს ამ სახელის შენარჩუნებას. საკითხი პრინციპულია, ვინაიდან სახელმწიფოს სახელშია სოციალისტური ორიენტაციის მინიშნება, რასაც, სხვათა შორის, აქტიურად უჭერს მხარს პრეზიდენტიც.

თუმცა ყველა დეპუტატმა არ მისცა ამას ხმა. კენჭისყრა სახელობითი იყო, თუმცა ზოგიერთი დეპუტატი ღია პროცედურის წინააღმდეგ გამოვიდა, მათ შორის შ. ამონაშვილი, გ. ბურბულისი, ა. ემელიანოვი, ა. კაზანიკი, დ. პავლიჩკო და სხვები.

ვინ იყო დამკვიდრებული სახელის წინააღმდეგ? გაზეთმა „სოვეტსკაია როსიამ" 27 დეკემბერს გამოაქვეყნა იმ 189 სახალხო დეპუტატის სრული სია, რომლებმაც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკებისადმი უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატეს. მათ შორის არიან — ნ. ამოსოვი, ი. ანდრეევა, გ. არბატოვი, ი. ბოგომოლოვი, გ. ბურბულისი, ვ. ბიკოვი, ი. ვლასოვი, ე. დოგა, ი. დრუნინა, ა. ემელიანოვი, ა. კაზანიკი, ვ. კოროტიჩი, დ. ლიხაჩოვი, ა. ობოლენსკი, ი. რიჟოვი, ნ. ტრავკინი, ნ. ენგვერი და სხვები.

ასევე წინააღმდეგი იყვნენ სხვადასხვა დონის საბჭოების ხელმძღვანელები, დეპუტატები ბ. ელცინი, გ. პოპოვი, ა. სობჩაკი, ს. სტანკევიჩი, ა. შჩელკანოვი და ი. ზასლავსკი.

წინააღმდეგ გამოვიდნენ სსრკ პრეზიდენტის თანაშემწეები, დეპუტატები ნ. პეტრაკოვი და გ. შახნაზაროვი.

წინასწარი პირობების დაუთმელად

ვილნიუსი. საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის ახალ პერსპექტივას ლიტვის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ვ. ლანდსბერგისი ხედავს აქ მიღებულ უზენაესი საბჭოს დადგენილებაში „ლიტვის რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სამთავრობათაშორისი მოლაპარაკებების შესახებ".

ეს დოკუმენტი, რომელიც მოუწოდებს მოლაპარაკების შესახებ ადრე მიღებულ ოქმზე უარის თქმას, მისი თქმით, პრობლემის გადაწყვეტის ახალ საშუალებას იძლევა, დოკუმენტების გამოთხოვამ, რომლებშიც დაფიქსირებულია მოლაპარაკების დაწყების პირობები, ლიტვის პარლამენტის ხელმძღვანელის აზრით, საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკება „მკვდარი წერტილიდან" უნდა დაიძრას.

პერუს პრეზიდენტი ითხოვს

ლიმა. პერუს პრეზიდენტმა ალბერტო ფუხიმორიმ განაცხადა, რომ ბრძოლას, რომელსაც მისი ქვეყანა ეწევა ნარკოტიკების ვაჭრობის წინააღმდეგ, წარმატება არ მოაქვს. ადგილობრივ გლეხებს კოკაინის წარმოებისათვის ნედლეულად გამოსაყენებელი კოკის ფოთლების მოყვანაზე, ხელი რომ აიღებინოს, პერუს, მისი აზრით, დიდი საერთაშორისო ეკონომიკური დახმარება სჭირდება.

„ჭეშმარიტებით კი მარცხი იწვნია არა მარტო პერუს მთავრობამ, არამედ მთელმა მსოფლიომაც", — აღნიშნა პრეზიდენტმა პერუს დედაქალაქში გამართული უცხოელ ჟურნალისტებთან შეხვედრის დროს.

„პერუს სოციალურ-ეკონომიკური ვითარების გაუმჯობესება შესაძლებლობას მოგვცემს უფრო ეფექტიანად ვებრძოლოთ ნარკოტიკებს, — თქვა ალბერტო ფუხიმორიმ. — მაგრამ ქვეყანას, რომელსაც ისეთი მცირე რესურსები აქვს, უნარი არ შესწევს მოკლე დროში მოიგოს ომი ნარკოტიკების ვაჭრების წინააღმდეგ, დასძინა მან.

პერუში მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაზე უფრო მეტ კოკის ფოთლებს ამზადებენ, რომლებიდანაც შემდეგ აწარმოებენ ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ ნარკოტიკს — კოკაინს. მიახლოებითი მონაცემებით, ნედლეული მოჰყავს და კოკაინს აწარმოებს ლათინური ამერიკის ამ ქვეყნის 200 ათასზე მეტი მცხოვრები.

სამხედრო დავალიანების სრული ჩამოწერა

ვაშინგტონი. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა პარასკევს გასცა განკარგულება, რომ ჩამოწერონ სამხედრო მიწოდებაში ეგვიპტის დარჩენილი ვალი. საქმე ეხება მილიარდი დოლარის დარჩენილ ვალის დაფარვას. პრეზიდენტის ამ განკარგულებით, რომელიც გაიგზავნა ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსთა და თავდაცვის სამინისტროში, დამთავრდა 6,7 მილიარდი დოლარი საერთო თანხის იარაღის მიწოდებისათვის ვალების გადახდისაგან კაიროს სრული განთავისუფლების პროცესი. ჯ. ბუშის მიერ გადადგმული ნაბიჯი თავისებური „საფასურია" იმისათვის, რომ ეგვიპტემ მხარი დაუჭირა ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკას სპარსეთის ყურეში, რომ კაირო თანამშრომლობს ანტიერაყულ კოალიციის ძალებთან.

ეგვიპტის სამხედრო ვალების ჩამოწერის შესახებ გადაწყვეტილება წინათ მოიწონა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა შეერთებული შტატების უცხოეთისადმი დახმარების საერთო პაკეტის ფარგლებში. ვალების პატიების ერთ-ერთი პირობა იყო ის, რომ ეგვიპტეს უარი ეთქვა საბჭოთა სამხედრო ტექნიკის შესყიდვაზე და მთლიანად გადასულიყო ამერიკის შეიარაღების სისტემაზე.

მაიკლ ჰელზთაინი — „წლის მამაკაცი"

ლონდონი. გარემოს საკითხთა მინისტრმა მაიკლ ჰელზთაინმა შეძლო თავისებური რევანში აეღო ბრიტანეთის მთავრობის მეთაურის ჯონ მეიჯორისაგან კონსერვატიული პარტიის ლიდერისა და პრემიერ-მინისტრის პოსტისათვის ბრძოლაში ამასწინანდელი დამარცხებისათვის. ბი-ბი-სის რადიოპროგრამის „თუდეის" ტრადიციული ახალწლისწინა გამოკითხვის შედეგებით იგი „წლის მამაკაცად" ცნეს. უნდა შეგახსენოთ, რომ სწორედ მ. ჰელზთაინის გამოწვევა მარგარეტ ტეტჩერისადმი — ტორის ლიდერისადმი გასულ თვეში ამ პარტიის ხელმძღვანელის არჩევნების დროს გახდა მისი გადადგომის მიზეზი.

ჯონ მეიჯორი — ამ საუკუნეში დიდი ბრიტანეთის ყველაზე ახალგაზრდა პრემიერ-მინისტრი — დაგროვილი ხმების რიცხვით მეორე იყო გამოკითხვაში. მესამე ადგილი დაიკავა ბრიტანეთის პარლამენტის თემთა პალატის ყოფილმა ლიდერმა ჯეფრი ჰაუმ.

ამერიკელი ლამაზმანები სტუმრად მოსკოვში

მოსკოვი. ყველაზე ლამაზი ქალები — კონკურსის „ამერიკის ქალბატონის" პრეტენდენტები მონაწილეობდნენ კონკურსში „ქალბატონი ფოტოგენურობა", რომელიც სასტუმრო „კოსმოსში" გაიმართა.

კონკურსის გამარჯვებული გახდა ოდესელი ინგა ლევინსონი.

სურათზე: „ქალბატონი ოკლაჰომა" (სამხედრო ქუდში) და „ქალბატონი ამერიკა" კონკურსის დაწყების წინ.

საკდესის ფოტოქრონიკა.

MRS. OKLAHOMA
MRS. AMERIC

ტელეტაიპის ლენტიდან

ნიქოზია. ირანის პრეზიდენტმა ჰაშემი-რაფსანჯანიმ თეირანის უნივერსიტეტში გამართულ ცერემონიაზე გამოსვლისას განაცხადა, რომ სპარსეთის ყურის ზონას შეექმნა ომის საფრთხე და ამერიკის შეერთებულ შტატებს მოუწოდა გაიყვანოს იქიდან ჯარები, რეგიონის სახელმწიფოებს მისცეს შესაძლებლობა თვითონ მოაწესრიგოს კრიზისი.

თეირანის რადიოს ცნობით, რომელსაც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იმოწმებს, ირანის პრეზიდენტმა თქვა, რომ ერაყმაც და შეერთებულმა შტატებმაც ბოლო უნდა მოუღონ თავიანთ „აგრესიას".

„ამერიკის ჯარებმა ბოლო უნდა მოუღონ აგრესიას და დატოვონ რეგიონი, რათა შევძლოთ გადავწყვიტოთ მისი პრობლემები მშვიდობისა და თანამშრომლობის სულისკვეთებით", მოჰყავს ირანის პრეზიდენტის გამონათქვამი თეირანის რადიოს. „მოვუწოდებთ ორივე მხარეს გამოიჩინონ კეთილგონიერება და არ დაუშვან სისხლისღვრა, ხაზგასმით აღნიშნა ჰაშემი-რაფსანჯანიმ.

სოფია. ვ. ი. ლენინის ძეგლი, რომელიც სოფიის ცენტრში საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის სახელობის მოედანზე დგას, დემონტირებული იქნება, ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს აქ გამართულ ბულგარეთის დედაქალაქის საქალაქო სახალხო საბჭოს დროებითი აღმასკომის სხდომაზე, იუწყება ბულგარეთის დეპეშათა სააგენტო. გადაწყვეტილების შესაბამისად ქანდაკებას „შეინახავენ მისთვის შესაფერის ადგილზე, როგორც ტოტალიტარიზმის პერიოდის მონუმენტური ხელოვნების დოკუმენტს". მოედანზე, სადაც ამჟამად ძეგლია დადგმული, აპირებენ ააშენონ სოფიის მეტროს ცენტრალური სადგური.

ვ. ი. ლენინის ძეგლი საბჭოთა მოქანდაკის ლევ კერბელის ერთ-ერთი ნამუშევარია. იგი სოფიაში დაიდგა 25 წლის წინათ.

ვარშავა. 1940 წელს სმოლენსკის მახლობლად კატინის ტყეში შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ პოლონელ სამხედრო მოსამსახურეთა დახვრეტის საქმის გამო გამოძიებას საბჭოთა მხარე აწარმოებს გულდასმით და პროცედურის ზუსტი შესაბამისობით. ეს განაცხადა პრესკონფერენციაზე პოლონეთის გენერალური პროკურორის მოადგილემ სტეფან სნეჟკომ, რომელიც ახლახან დაბრუნდა სსრ კავშირიდან, სადაც საბჭოთა ხელისუფლების მიწვევით გაეცნო გამოძიების მიმდინარეობას.

საბჭოთა სამხედრო პროკურატურამ, რომელიც გამოძიებას აწარმოებს, როგორც გენერალური პროკურორის მოადგილის სიტყვები მოწმობს, პოლონეთის მხარეს სთხოვა ნება დაერთოს პოლონეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე განახორციელოს საგამოძიებო მოქმედება, კერძოდ, მოაწყოს კატინში დახვრეტილთა ნათესავების დაკითხვა და მისცეს შესაძლებლობა გაეცნოს პოლონეთში არსებულ მასალებს ამ საქმის გამო.

ბელგრადი. იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის მეთაურმა ანტე მარკოვიჩმა განაცხადა, რომ საჭიროა დაიცვან იუგოსლავიის ერთიანობა. იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის სკუპშჩინის (პარლამენტს) სესიაზე გაკეთებულ მოხსენებაში მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ქვეყნის გავლა გარდუვალ გარდამავალ პერიოდში გაცილებით უფრო ნაკლებად მტკივნეული იქნება, თუ იუგოსლავიის ყველა რესპუბლიკა ერთად ივლის. ამისათვის, თქვა შემდეგ მან, უნდა დავამტკიცოთ წანამძღვრები, რომლებიც უზრუნველყოფენ ერთიანობის საჭირო მინიმუმს.

საკავშირო პრემიერმა ჩამოთვალა ძირითადი დებულებანი, რომელთა მიხედვით საჭიროა რესპუბლიკათა თანხმობა, რათა მიაღწიონ ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებას. მისი აზრით, ეს არის დინარის კონვერტირებულობის შენარჩუნება, ერთიანი სავალუტო-საფინანსო პოლიტიკა ფედერაციის ბიუჯეტის დაფინანსების წინანდელი კონცეფციის რეალიზაცია.

სანტიაგო. ჩილეს პროკურატურის ორგანოებმა დააკავეს და წინასწარ პატიმრობაში აიყვანეს ეროვნული საინფორმაციო ცენტრის — პინოჩეტის რეჟიმის საიდუმლო პოლიციის ყოფილი დირექტორი, გადამდგარი გენერალი გუსტავო აბარსუა რივადენირა. როგორც დედაქალაქის გაზეთი „სეგუნდა" წერს, პინოჩეტის დიქტატურის უკანასკნელ თვეებში დათხოვნილი საიდუმლო პოლიციის შეფმა ჩვენებების მიცემა დაიწყო სამხედროთა საიდუმლო ფინანსური მაქინაციების სკანდალური საქმის გამო, რომელსაც „ლა-კუტუფის საქმე" უწოდეს.

საქმე ეხება უდიდეს არალეგალურ საფინანსო ორგანიზაციას არმიაში, რომელიც რეგისტრაციაში არ იყო გატარებული საგადასახადო უწყებაში და მილიონობით დოლარს ატრიალებდა. როგორც გამოძიება ვარაუდობს, ჩილეს შეიარაღებული ძალების ოფიცრებისა და გენერლებისაგან დიდი პროცენტით მიღებული ფული ხმარდებოდა ნარკობიზნესის ოპერაციებისა და იარაღით ვაჭრობის დაფინანსებას.

ტოკიო. ტერორიზმის მკვეთრი ზრდა აღინიშნა მიმავალ წელს იაპონიაში. როგორც ქვეყნის მთავარი პოლიციის სამმართველოს მოხსენების მონაცემები მოწმობს, მიმდინარე წლის დამდეგიდან იაპონელმა ექსტრემისტებმა დაახლოებით 150 გამოხდომა მოაწყვეს, რომლებსაც სერიოზული შედეგები მოჰყვა, მათ შორის მსხვერპლიც. ეს მაჩვენებელი რეკორდული გახდა უკანასკნელი თხუთმეტი წლის მანძილზე.

განსაკუთრებით „გამოიჩინეს თავი" ულტრამემარჯვენე ორგანიზაციებმა, რომელთა ანგარიშზეა 143 ტერორისტული აქტი. მათი საქმიანობის პიკი მოვიდა ნოემბერსა და დეკემბერზე, როცა მთელ ქვეყანაში ეწყობოდა საზეიმო ოფიციალური ცერემონიები და სრულდებოდა რელიგიური ადათწესები „ქრიზანთემის ტახტზე" იმპერატორ აკიჰიტოს ასვლასთან დაკავშირებით. „ტიუკაკუ-ჰა" („ბირთვის ფრაქცია") და სხვა ცრუმემარცხენე დაჯგუფებები ცეცხლს უკიდებდნენ სინტოისტურ ტაძრებს, ასაფეთქებელ მოწყობილობებს დებდნენ სხვადასხვა ოფიციალურ დაწესებულებებში, ცდილობდნენ მწყობრიდან გამოეყვანათ რკინიგზის მაგისტრალები.

ნაკლები საზრუნავი როდი გაუჩინეს იაპონიის წესრიგის დამცველებს 1985 წელს ულტრამემარჯვენეებმაც. იანვარში საზოგადოებრიობა შეაშფოთა ცნობამ ქალაქ ნაგასაკის მერზე ჰიტოსი მოტოსიმუზე ულტრამემარჯვენე ექსტრემისტის შეიარაღებულმა თავდასხმამ. მერი ცნობილია თავისი ანტისამხედრო გამოსვლებით. ბანდიტმა მერს თითქმის მიბჯენით ესროლა ტყვია ზურგში და მოტოსიმა რაღაც სასწაულით გადარჩა.

წერილების მიმოხილვა

„...დაუფარავად გეტყვით, შვილებო, რომ დღეს ქართველთა შორის რაიმე შუღლის ჩამოგდება საქართველოს დაღუპვის ნიშნავს, და იცოდეთ, რომ თუ ახლა წაიქცა საქართველო, ფეხზე ვეღარასოდეს წამოდგება და სატანა დაისადგურებს ქვეყანაში შიგ. ნუთუ საჭიროა ეს ჭეშმარიტება გლეხკაცმა შეგახსენოთ თქვენ?“, — ასე იწყებს თავის ღია წერილს ეროვნული კონგრესისადმი შრომის ვეტერანი ზ. გოგოხია წალენჯიხის რაიონის სოფელ ლიადან.

თავის დროზე ბ-ნ ზ. გოგოხიას ხმა მიუცია ეროვნული კონგრესისათვის, რითაც, როგორც გვწერს, გამოუხატავს თავისი თანადგომა იმათთვის, ვინც იბრძოდა და იბრძვის საქართველოს სრული დამოუკიდებლობისათვის, ქართველი ხალხის ბედნიერი მომავლისათვის და, აბა, რას წარმოიდგენდა ეს შრომით და ბრძოლით დაღლილი კაცი, რომ ისინი, ვისი იმედიც ჰქონდა, უპირველეს მტრებად მოევლინებოდნენ ახლად არჩეულ ეროვნულ პარლამენტსა და მთავრობას.

აი, როგორ აფასებს იგი ჩვენი კონგრესმენების უკანასკნელ გამოსვლებს:

„...ვაი, უბედურებავ და უმეცრებავ, სადამდე უნდა დაეცეს კაცის სული და ზნე, რომ იმ პარლამენტსა და მთავრობას უწოდო „ეგრეთ წოდებული“ და „უკანონო“, რომელსაც ქართველი ერის და საქართველოში მცხოვრები ყველა ერის წარმომადგენლების უმრავლესობამ მისცა ხმა და მიანდო თავისი ბედი.

შური ძმათა შორის, სიძულვილი ერთმანეთისა, გაუტანლობა და უნდობლობა ხერხემალში ტეხს ქართველი ხალხის დაუოკებელ მიზანდასახულობას, დროა ყველამ შევიგნოთ ერთხელ და სამუდამოდ, რომ ქართველი ერი ვერავის აპატიებს წინდაუხედაობას და ძმათა შორის შურისა და უნდობლობის თესვას.

ნუ გავახარებთ შვილებო, მტერს, შევიცნოთ მტერი და მოყვარე, შევიკრათ ერთ მუშტად ერთი მიზნისათვის, რამეთუ ჩვენი მიზანია ვიხილოთ საქართველო ერთიანი და თავისუფალი, მაშინ ვერანაირი მტერი ვერ გატეხს ქართველი კაცის ჯანსა და ღონეს“.

მსგავსი წერილების ტევა არ არის. ჩემს კოლეგებს კი გაუთავებლად მოაქვთ და მოაქვთ ახალ-ახალი დასტები. ვინ არ გარჯილა, ვინ არ დამჯდარა წერად ამ წინასაახალწლო ციებ-ცხელებისას იმისათვის, რომ ჩვენთვის მოეწოდინა თავისი აზრი, პოზიცია, გამოეთქვა თავისი გულისწუხილი და შეშფოთება საქართველოში მიმდინარე სავალალო მოვლენების, ძმათა დაპირისპირებისა და ეროვნული კონგრესის წარმომადგენელთა იმ უკანასკნელი აქციებისა თუ საჯარო გამოსვლების გამო, [illegible] მაც ერთიანად შეძრა, [illegible] მთელი საქართველო, მთელი ჩვენი საზოგადოებრიობა.

— მართლაც, ისე როგორ უნდა დაგვაბრმავოს შურმა და სიძულვილმა, რომ ქათამივით საკენკს მეტს ვეღარაფერს ვხედავდეთ და სრულიად უყურადღებოდ ვტოვებდეთ იმ კარსმომდგარ საშიშროებას, რომელიც მთელი ჩვენი სანუკვარი მიზნების სრული გახადგურებით გვემუქრება, — ასეთი საყოველთაო აზრი გასდევს მთელ ამ სარედაქციო ფოსტას, რასაც ჩვენი კორესპონდენტები ხსნიან კონგრესის ზოგიერთი წარმომადგენლის ამბიციურობითა და წინდაუხედაობით, ჩვენს ირგვლივ მიმდინარე პოლიტიკური თუ ეკონომიკური პროცესების გაუთვალისწინებლობით.

„...ოღონდ ჩვენი პატივმოყვარეობა დავიკმაყოფილოთ და, მზად ვართ მას შევწიროთ ყველა და ყველაფერი. ჭკუა ვერ გვისწავლია ათეული საუკუნის მანძილზე დაქსაქსულობის მწარე გაკვეთილებმა. იქნებ ვინმეს ჰგონია რაიმე განსხვავება იყო ან არის იმაში, თუ ვის მივყიდით საქართველოს — სულთანს, შაჰსა თუ საბჭოთა პრეზიდენტს, — გვწერს აკაკი ვარაზაშვილი და განაგრძობს, — ქართველი კაცი, როდესაც ხმას აძლევდა არჩევნებში მრგვალი მაგიდის პოლიტიკურ პარტიებს და გზას უხსნიდა მათ ხელისუფლებისაკენ, მერწმუნეთ, სრულიადაც არ ფიქრობდა, თითქოს მათი გამარჯვებით სასწრაფოდ გარდაიქმნებოდა დამყაყებული საბჭოთა სახალხო მეურნეობა და მაღაზიის დახლები გაივსებოდა ნაირ-ნაირი პროდუქციით. არა, ბატონებო! — ამაზე ქართველი კაცი არც კი ოცნებებდა, ვინაიდან მშვენივრად იცის, რომ საბჭოთა კავშირში შემავალი საქართველო, როგორი ხელისუფლებაც უნდა ჰყავდეს, კეთილდღეობის ოაზისს ვერ შექმნის და საერთო ეკონომიკურ დინებას თავს ვერ დააღწევს. ქართველმა კაცმა მრგვალი მაგიდის პოლიტიკურ პარტიებს ხმა მისცა იმიტომ, რომ მათ საქართველო უმოკლესი გზით მიჰყავთ დამოუკიდებლობისაკენ. ეს გზა კი სწორედ უზენაეს საბჭოზე გადის. ამიტომ იმის მტკიცება, რომ ვინაიდან უმაღლესი საბჭო ოკუპაციისა და ანექსიის პირობებში ჩამოყალიბებული ხელისუფლების ინსტიტუტია, მას არ ძალუძს წარმოადგენდეს ქართველი ხალხის ნებას, მხოლოდ რიტორიკაა, რომელსაც სინამდვილესთან საერთო არა აქვს რა. მრგვალ მაგიდას ჩვენ სწორედ ის უნდა დავუფასოთ, რომ მის მიერ არჩეული გზა გამოდგა ყველაზე ეფექტიანი, ყველაზე საშიში ცენტრისთვის და ამავე დროს ყველაზე მისაღები საქართველოსთვის.

ქართველმა ერმა არჩევანი გააკეთა და არც შემცდარა. რომ იტყვიან, წილი ნაყარია. ახლა მთავარია მისხალ-მისხალ, ნაბიჯ-ნაბიჯ გავუყვეთ იმ გზას, რომელსაც ხმა მივეცით, რომლის უზენაესობაც ყველამ ვცანით. ახლა არ არის მიტინგებისა და კონკლავების დრო, საქართველოს ისტორია არც ამჟამინდელი გარდამავალი პერიოდით დაწყებულა და არც ამით დამთავრდება, ისტორია უტყუარი მსაჯულია და ყველას თავისას მიუზღავს.

არსებულმა სისტემამ იმდენი პრობლემა დაუტოვა ქართველ ხალხს, მათ გამოსწორებას, ხვალ რომ თავისუფლებაც მოგვანიჭონ, ათეული წელი მაინც დასჭირდება. ამ გაუკუღმართებულობის გამოსასწორებელ პირველ აგურებს კი დღევანდელი უზენაესი საბჭოს კალატოზები დებენ, და მოდით, დახმარებით თუ არ დავეხმარებით, ხელს მაინც ნუ შევუშლით, თორემ ხომ გვახსოვს, რაც მოუვიდათ ამპარტავნებს ბაბილონის გოდოლის მშენებლობისას.

ღმერთმა ქნას, მათი ნაგები ეს ახალი ქართული კედელი მტკიცე და შეუვალი ყოფილიყოს“.

„დღეს ისე უჭირს საქართველოს, როგორც არასდროს. გვიჭირს ყველას. დაგვღალა ამდენმა გაუთავებელმა სიცრუემ, გაუტანლობამ (შინაურმა თუ გარეულმა) — აღნიშნავენ თავიანთ წერილში ეთერ და რეზო რეხვიაშვილები, — თუ კომპარტიას 70 წელი ვაცალეთ, ხოლო „პერესტროიკას“ აგერ მე-6 წელია შევყურებთ, განა მოვალენი არა ვართ კეთილ ვინებოთ და უზენაეს საბჭოს, რომლის დემოკრატიული, მრავალპარტიული არჩევნები თითქმის საზეიმო ვითარებაში მოვაწყეთ, ვაცალოთ ამოსუნთქვა, ფეხზე დადგომა, გაძლიერება; ვძლიოთ საკუთარ ამბიციებსა და სიხარბეს, ნუ გაგვიტაცებს თავის წარმოჩენა... დაე, საქმემ ჩვენმა გამოგვაჩინოს!“

„ქართველ ხალხს დღეს არ სჭირდება მტყუან-მართლის გარკვევა, დღეს მას სჭირდება სიმშვიდე. მეტი რაღა ვქნათ, ვიტანთ სიცივეს, უბინაობას, შიმშილს. ვითხოვთ მხოლოდ სიმშვიდეს და ერთიანობას ქართველთა“, — მიმართავს კონგრესს რუსუდან პატარაია — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი.

„ყოველი გამოხდომა და უსაფუძვლო პრეტენზიები ქართველი ხალხის მიერ არჩეული უზენაესი საბჭოსა და მთავრობისადმი სხვა არა არის რა, თუ არა ავანტიურა და თვით ერის ღალატიც, რაც საბაბს აძლევს ცენტრს კვლავ იმპერიალისტური ჩექმის ქვეშ მოგვაქციოს: ამიტომ ვგმობთ კონგრესის, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა და სხვათა გამოხდომებს“, —აცხადებს კასპელი ც. ნავროზაშვილი.

„— თქვენი დიალოგი, ძვირფასო კონგრესმენებო და უზენაესი საბჭოს დეპუტატებო, არ მომეწონა. როცა ქვეყნის, ერის ბედი წყდება, მეტი დაფიქრება და სერიოზულობა გმართებთ. ახლა, ემოციები და ამბიციები დამღუპველია.

მიხვდით, ჩემო ძვირფასებო, რომ ხალხი დაიღალა და შეწუხდა. უპატიოსნო ადამიანები კი ამით სარგებლობენ და ჯიბეს ისქელებენ. ასეთ ხალხს ნუ აცინებთ!“ — იწერება გორის რაიონის გარეჯვარის მკვიდრი გიორგი ტაველიძე.

გულისწყრომით არის აღსავსე სენაკის პურკომბინატის მუშის ბიჭიკო ჯაკობიას წერილი:

— „არჩევნებით განაწყენებული ცალკეული პარტიები და პირნი ჯავრს რად იყრიან ბატონ ზვიად გამსახურდიაზე? განა ზვიადმა გვიკარნახა ან გვიბრძანა, ხმა მიგვეცა მხოლოდ მისთვის? იმთავითვე, როდესაც გაჩნდა ბზარი ეროვნულ მოძრაობაში და თითოეულის ზრახვები ხალხისათვის ნათელი გახდა, ქ. სენაკისა და ზუგდიდის მცხოვრებთ მხარი არასოდეს დაუჭერიათ ი. წერეთლისა და გ. ჭანტურიასათვის“.

შეგონება, რომელსაც არ ეღალატების!

რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი, შრომის ვეტერანი სევერიან გვაზავა გვწერს:

„...დემოკრიტე მიუთითებს: ადამიანი ან კეთილი უნდა იყოს, ან კეთილს უნდა ბაძავდეს. ამ ბრძნული დებულების თანახმად საქართველოს კომუნისტური პარტიის ლიდერმაც კი დაგმო საბჭოთა კომუნისტური პარტიის წარსული საქმიანობა, სრული სოლიდარობა გამოუცხადა საქართველოს ახალ მთავრობას და მასთან ერთად იბრძვის საქართველოს სრული დამოუკიდებლობისათვის, სამართლის აღორძინებისათვის, რასაც სულით და გულით მივესალმებით. თქვე დალოცვილებო, აქ რუსთაველზე რას ებრძვით ერთმანეთს, რას აცდენთ ამდენ ხალხს და აჩვევთ უსაქმურობასა და უმუშევრობას, არ სჯობს ეს ძალები გამოვიყენოთ საერთო მტრის წინააღმდეგ გონივრული, პოლიტიკური ბრძოლისათვის. ვიმოქმედოთ საქმით, შრომითა და თანადგომით, და არა მუქარით, რაც მტრობის ტოლფასია?

დაახლოებით ასეთივე აზრია გამოთქმული დოცენტების გ. ბიგვავას და ა. ხელაიას, რესპუბლიკის ადვოკატთა კოლეგიის წევრის პ. გაგუას, პენსიონერ ო. ჩიქვინიძის, მეცნიერ-მუშაკის ნ. მაჩიტაძის, უპარტიო მოქალაქეების შ. თოდუას, დ. სოსელიას, გ. ბასილაძის, ა. ქორიძის, ჟურნალისტ ბ. ნამიჩეიშვილისა და სხვა ავტორთა წერილებში, რომელთა ფრაგმენტულ წარმოჩენასაც კი გაზეთის არაერთი ნომერი დასჭირდებოდა, მაგრამ ზემოთ მოტანილიც, ვფიქრობ, საკმარისია იმისთვის, რომ ნათლად აღვიქვათ და გავიაზროთ ის საყოველთაო წუხილი და შეშფოთება, რომელსაც გამოხატავს ხალხი ჩვენში შექმნილი ძმათა დაპირისპირების, ეროვნული პარლამენტის შეურაცხყოფისა და მთელი ქართველი ხალხის ნებისა და მისწრაფების გაუთვალისწინებლობისათვის.

წერილების ერთი წყება უშუალოდ უკავშირდება „მხედრიონს“ და მასთან დაკავშირებულ პრობლემებს. იქნებ ზოგიერთ მათგანს აკლდეს თავშეკავება, ტაქტი, მაგრამ არც იმდენად, რომ გადააჭარბოს ზოგიერთი ჩვენი კონგრესმენის უპრეცედენტო ლანძღვა-გინებას ტელევიზიით.

„მხედრიონს“ და მის მესვეურთ იარაღის ჩაბარებისაკენ მოუწოდებენ საქართველოს მცენარეთა დაცვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის 260 თანამშრომელი, კურორტ ბორჯომის მშრომლები ჯ. ქართველიშვილი, ომის ვეტერანი, მწერალი იაკობ მელია, რუსთაველი მოქალაქე იოსებ ქევხიშვილი, რომელიც ხელისუფლებას სთავაზობს შეუერთოს „მხედრიონი“ ქართულ მილიციას და მისი ყოველი წევრი აღჭურვოს დანომრილი სამკერდე ნიშნით, რაც გამორიცხავს „მხედრიონს“ მიტმასნილი და მისი სახელით მოქმედი დანაშაულებრივი ჯგუფების აღვირახსნილობას.

ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ზუმის მოსახლეობა ასეთივე თხოვნით მიმართავს რესპუბლიკის პროკურატურას.

და ბოლოს, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების თინათინ ხიდაშელის, ირმა კავკელიძის, ლია შანშიაშვილისა და მათი თანაავტორი მეგობრების კოლექტიური წერილის ერთ ფრაგმენტსაც შემოგთავაზებთ.

„შეჩერდით, კიდევ ერთხელ დაფიქრდით, ბატონებო! აღარ არის ერთმანეთთან ბრძოლისა და ქიშპობის დრო... გავერთიანდეთ, შევიკრათ „ერთ სისხლ და ერთ ხორც“. ნუ ვათქმევინებთ ავის მსურველთ, კვლავ ერთმანეთის მიძგნაო ქართველები, ნუ შევიქმნებით უნებურად კრემლის დირექტივების შემსრულებელნი, თორემ რა გამოდის, საბჭოთა იმპერიის პრეზიდენტი სრულიად უსაფუძვლოდ აცხადებდა, რომ ახალი პარლამენტის არჩევნებს მღელვარება მოჰყვა საქართველოში, დღეს კი ეს მღელვარება მართლაც დაიწყო.

...ჩვენ ყველაზე მეტად რწმენის დაკარგვის, რწმენის სიკვდილის გვეშინია, ნუ მოგვიკლავთ ამ რწმენას, თორემ რწმენადაკარგული ერისთვის სულ ერთია, ვის ხელში იქნება საქართველო.

მუდამ გახსოვდეთ სულმნათი მერაბ კოსტავას სიტყვები:

ძმის აღსარება, რომელმაც
გასთქვა,
ვინც ვერ დაიცხრო ღელვა
გულისა
ზიარებამდე ვინც ვერ
წარმოთქვა
საგალობელი სინანულისა“.

მართლაც, სინანულისა და გულისტკივილის მეტი რა უნდა გვჭირდეს კაცს, ამ წერილების შემხედვარესა და წამკითხველს. რაში ვკარგავთ დროს, რისთვის ვხარჯავთ ენერგიას, ნერვებს, რისთვის ვამწარებთ და შეურაცხყოფთ ერთმანეთს, როცა ათასი სხვა რამ გვაქვს საფიქრალ-საზრუნავი და გასაკეთებელი ერისა და ქვეყნის სასიკეთოდ.

დღე ერთია და მუქარა ათასი: ზოგი ისევ ტოტალიტარიზმითა და დიქტატურით გვაშინებს, ზოგიც ახალი ეგზეკუციითა და საკომენდანტო საათით, ზოგი სახლში გვივარდება და დასახლებასა და მიწის დასაკუთრებას გვთხოვს, ზოგსაც მამულის წართმევა განუზრახავს, და ვინ იცის, კიდევ რამდენ სხვა ჭირს უნდა გაუმკლავდეს ჩვენი ერიც და მთავრობაც.

განა არ ვიცით, ვის აძლევს ხელს ჩვენი დღევანდელი შინაგანი გათიშულობა, შიმშილობანი თუ სხვა ამდაგვარი?

განა არ ვგრძნობთ იმას, რომ მას შემდეგ, რაც ჩვენმა ახალმა მთავრობამ უარი თქვა იმპერიული სქემით შედგენილ სამოკავშირეო ხელშეკრულების ხელმოწერაზე, კრემლი თავზე ხელს არ გადაუსვამს და დღენიადაგ ეცდება მოგვიხელთოს დრო, რომ ჩვენივე ხელითა და უგუნურებით შექმნილი არეულობისა და ქაოსის მსხვერპლნი გაგვხადოს.

ვიყუჩოთ, ხალხო, შევერთდეთ და ხელი შევუწყოთ, მოვეფეროთ ერთმანეთს, დავირაზმოთ ჩვენი ახალი პარლამენტისა და მთავრობის ირგვლივ, რომელსაც ესოდენ სჭირდება დღეს თითოეული ჩვენგანის თანადგომა და ერთგული სამსახური.

ასეთია დღეს შეგონება ჩვენი ხალხისა, რომელსაც არ ეღალატება!

მიმოხილვა მოამზადა

გია შელიძე.

თეატრი

„მშვიდობის დღესასწაულის“ განცდა

საქართველოში ჰაუპტმანის დრამატურგია საუკუნის დასაწყისში საკმაოდ პოპულარული იყო, მას დიდი ადგილი ეკავა თეატრების რეპერტუარში, მასზე დაუწერიათ წერილები აკაკი წერეთელს, მიხეილ ჯავახიშვილს, კონსტანტინე გამსახურდიას, კიტა აბაშიძეს. „ჰაუპტმანის ახალი პიესის გამო“ — ასე ჰქვია გაზეთ „ივერიაში“ დაბეჭდილ (1906 წ. № 7) კიტა აბაშიძის წერილს. ვკითხულობ მას და მიკვირს — იმდროინდელი სულიერი მდგომარეობა როგორ ემთხვევა დღევანდელს;

„ახლანდელი ჩვენი სულის მდგომარეობა მეტად აღელვებულია. ჩვენ ისეთ ტრაგედიულ ხანას განვიცდით ცხოვრებაში, რომ სცენაზე წარმოდგენილი ტრაგედიები, თავისი შინაარსით, დაახლოებითაც ვერ შეედრება მას, აუტანელი ცხოვრების გამო, არცა ვართ ისეთ გუნებაზე, რომ ხელოვნებით დატკბობა შევვძლოს თავისუფლად და ჩვეულებრივად. მაგრამ ნიჭის ძალა დიდი რამ არის. ნიჭი და გენიოსობა ისეთი რაღაც დიდებულია, რომ ყოველ ჩვეულებრივ მოვლენას უჩვეულო სახეს მისცემს და გარდაქმნის თავისებურად... ერთი ამგვარი დიდი ნიჭის პატრონია გერჰარდ ჰაუპტმანი“.

ჰაუპტმანის დიადი ნიჭის კიდევ ერთი გამონათება იყო ამ დღეებში გამართული მარჯანიშვილის თეატრის პრემიერა „მშვიდობის დღესასწაული“. სპექტაკლისადმი ინტერესს განსაკუთრებით აძლიერებს ის ფაქტი, რომ მისი დადგმა განახორციელა ცნობილმა ქართველმა რეჟისორმა ლილი იოსელიანმა, რომელიც ბოლო ხანებში მხოლოდ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა თეატრალურ ინსტიტუტში.

თეატრის რეპერტუარში „მშვიდობის დღესასწაულის“ სახით გაჩნდა ღრმა სპექტაკლი, სადაც ყველაფერი შინაგან სვლებზეა აგებული, აქ ზედაპირზე არაფერი დევს, მსახიობები ერთგულად მიყვებიან რეჟისორის ნებას, რომელსაც იგი გენიალური დრამატურგის ლოგიკას უმორჩილებს. სცენაზე ერთმანეთს ეხლება ადამიანური ვნებათაღელვანი. ერთი ოჯახის წევრებს ერთმანეთისა არ ესმით, გაუგებრობას, უსულგულობას და სიცივეს დაუსადგურებია მათ შორის. ეს ოჯახი არც არის; იგი უკვე დაშლილია, აღარაფერი აღარაა თავის წესსა და რიგზე; თითქოს ადამიანები ყოვლისშემძლენი არიან, მაგრამ თანდათან ცხადი ხდება, რომ მათ ნებასა და სურვილებზე ძლიერია გამოუცნობი, უხილავი ფატალური ძალა თუ განგება, რომელიც „ადამიანის ცხოვრებას სევდის სუდარით ჰფარავს“ (კიტა აბაშიძე).

სპექტაკლში შეიქმნა უაღრესად მართალი, ფსიქოლოგიური ხასიათები, რომლებიც მაყურებელს ჰაუპტმანის დრამატურგიულ სიღრმეს განაცდევინებენ. ასეთია: ელენე ყიფშიძის მინა შოლცი, ირაკლი უჩანეიშვილის ფრიც შოლცი, ციცინო კობიაშვილის მარი ბიუხნერი, ზონდო გოგინავას ფრიბე, ახალგაზრდა მსახიობები: ელენე გუნცაძის აუგუსტა, დიმიტრი ხვთისიაშვილის რობერტი, ზურაბ სტურუას ვილჰელმი, ცისანა ქოთილაძის იდა.

მარჯანიშვილელთა „მშვიდობის დღესასწაულის“ მხატვრობა ეკუთვნის ნინო ჩიტაიშვილს, მასში ჟღერს მოცარტის, შუმანის, შუბერტის მუსიკა. ჰაუპტმანის წარმატებით განხორციელებას ქართულ სცენაზე ხელი შეუწყო შესანიშნავმა თარგმანმაც, რომელიც ეკუთვნის თენგიზ პატარაიას.

პრემიერის შემდეგ სპექტაკლზე თავის აზრს გამოთქვამენ:

ეთერ გუგუშვილი — ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი:

— დღეს, როცა აქა-იქ ისმის ხმები, რომ კლასიკა აღარ გვჭირდება, შეიძლება უცნაურადაც მოგეჩვენოთ — სცენაზე უცებ ჩნდება სრულიად „არათანამედროვე“ გერჰარდტ ჰაუპტმანი თავისი დრამით „მშვიდობის დღესასწაული“. პიესა სავსეა ფსიქოლოგიური იდუმალებით, მასში გაშლილია გულისშემძვრელი, მოღუშული დრამა.

რეჟისორი ლილი იოსელიანი, როგორც ყოველთვის, აქაც ეძებს სიმართლეს ადამიანურ ურთიერთობებში; მას აინტერესებს ამ ურთიერთობების ღრმა არსი, როგორი რთულიც არ უნდა იყოს იგი. სპექტაკლი სიკეთისა და ბოროტების მკვეთრ დაპირისპირებაზეა აგებული. რომელი გაიმარჯვებს მათ შორის? — ასე დგას საკითხი სპექტაკლში: კეთილი ადამიანები მიისწრაფვიან სიკეთის დასამკვიდრებლად, მაგრამ ვერ ახორციელებენ, მარცხდებიან ამ გზაზე. მართალია, ამით იტანჯებიან, რადგან არაფრის შეცვლა არ ძალუძთ და ამაშია მათი ტრაგედიაც. — „შეჩერდით ადამიანებო, რას სჩადით!“ — თითქოს ამბობს რეჟისორი.

ალბათ, შემთხვევითი როდია, რომ სპექტაკლში ჩნდება კაშკაშა საშობაო ნაძვის ხე, რომელიც როგორც სიკეთის სიმბოლო, ორჯერ ჩამოეშვება ზემოდან — „ციდან“ დედამიწაზე, პირველად ის ჩნდება როგორც მოხუცი ცოლქმრის მოგონება თავის ახალგაზრდობასა და იმედებზე (ამ როლებს ბრწყინვალედ თამაშობენ ელენე ყიფშიძე და ირაკლი უჩანეიშვილი), ხოლო მეორედ —ფინალში, როგორც ახალგაზრდა შეყვარებული წყვილის ოცნება მომავალზე. წარმატებით ასრულებენ ამ როლებს ცისანა ქოთილაძე და ზურაბ სტურუა.

სპექტაკლის შემდეგ უნებლიე ფიქრები მეძალებოდა — ძველი სამყარო დანგრეულია, მისი აღორძინება შეუძლებელია, ყველაფერი თავიდან უნდა დაიწყოს, უნდა აშენდეს ახალი სამყარო, როგორი იქნება იგი?

ასე მოულოდნელად იჭრება ჰაუპტმანის პიესა ჩვენს დღევანდელობაში, სადაც ყველაფერი ასე რთული, ბობოქარი, დაძაბული და გამოუცნობია, როგორი იქნება დღე ხვალინდელი? — ბოროტი, მკაცრი, კეთილი თუ... როგორი?

ღრმად უნდა გვწამდეს, რომ სიკეთე დაუმარცხებელია, იგი გაიმარჯვებს!

ალექსანდრე ქანთარია — რეჟისორი, ახმეტელის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი:

— ქალბატონი ლილი იოსელიანი ჩემი პედაგოგია რეჟისურაში, მე ყოველთვის გული მწყდებოდა, რომ არ მქონდა საშუალება თეატრში მენახა მისი დადგმული სპექტაკლები. სასიხარულო ფაქტია, რომ იგი მარჯანიშვილის თეატრში მიიწვიეს.

„მშვიდობის დღესასწაული“ ძალიან მართალი სპექტაკლია! შეიძლება მისი რიტმი დღევანდელ ცხოვრებას გარეგნულად არ შეესაბამება, მაგრამ შინაგანად ძალიან უახლოვდება. მსახიობები, განსაკუთრებით ახალგაზრდები, რომლებიც ამ სპექტაკლში მონაწილეობენ, დიდ სკოლას ეზიარნენ, ეს გაკვეთილი მათ შემდგომ შემოქმედებით ზრდასა და დაოსტატებას უდავოდ კეთილ სამსახურს გაუწევს. სპექტაკლი ფაქიზ შინაგან სვლებზეა აწყობილი, ამიტომ მას საგანგებო გაფრთხილება სჭირდება, რომ არ დაირღვეს ის განსაკუთრებული ტემპორიტმი, რომელსაც მიაგნეს მსახიობებმა.

გიორგი ლალიაშვილი.

სურათებზე: სცენები სპექტაკლიდან „მშვიდობის დღესასწაული“.

თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

სხვადასხვა

დაწესდა ახალი წოდება

საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებამ დააწესა წოდება „ჩვენი საუკეთესო დესპანი“. ეს საპატიო წოდება ყოველწლიურად მიენიჭება ქართული კულტურის იმ მოღვაწეს ან მოღვაწეთა ჯგუფს, რომელთაც საზოგადოების ხაზით განხორციელებულ ღონისძიებებში მიიღეს აქტიური მონაწილეობა და ამით ხელი შეუწყვეს ქართული კულტურის პოპულარიზაციასა და პროპაგანდას საზღვარგარეთ. საქართველოს მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებასთან არსებული საერთაშორისო კულტურის ცენტრის ჟიურის გადაწყვეტილებით, წელს ამ საზოგადოების საუკეთესო დესპანის წოდება მიენიჭა **ანსამბლ „რუსთავს“** და მის სამხატვრო ხელმძღვანელს ბატონ **ანზორ ერქომაიშვილს**.

სს „საქართველო“

სპორტი

სამომავლო ფიქრები

მსოფლიოს ჩემპიონი უახლოესი სამი წლისათვის უკვე ცნობილია, მაგრამ მატჩი უმაღლეს დონეზე კვლავ გრძელდება, მანამ არ გაირკვევა საკითხი: კასპაროვი მატჩს იგებს, თუ ყაიმით ამთავრებს? ამას კი მნიშვნელობა აქვს საპრიზო ფონდის გაყოფისათვის. გუშინ ლიონში გაიმართა 23-ე პარტია, მანამდე კი ანგარიში იყო 12:10 მსოფლიოს ჩემპიონის სასარგებლოდ.

ასე რომ, მსოფლიო პირველობაზე ასპარეზობა მიიწურა, მაგრამ აჟიოტაჟი არ ცხრება. ამჯერად სიტყვას გადავცემთ საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდენტს ფ. კამპომანესს და მატჩის მთავარ მსაჯს, ჰოლანდიელ ჰ. ჰეისენს, რომლებიც პასუხობენ კორესპონდენტის კითხვებს. პირველად პასუხობს პრეზიდენტი.

— **როგორ მოგწონთ მატჩი?**

— ჩინებული შემოქმედებითი პაექრობაა, ამ რანგის ერთ-ერთი საუკეთესო ასპარეზობაა. მიუხედავად ავადმყოფობისა, აქ ჩამოვედი, რომ მივესალმო გამარჯვებულს.

— **კასპაროვსა და კარპოვს შორის ნათამაშევი მატჩებიდან რომელს გამოყოფდით?**

— შეიძლება ითქვას, პირველს, მოსკოვში რომ გაიმართა.

— **მაინც რატომ?**

— მაშინ ბევრი მითქმა-მოთქმა, ინტრიგები იყო, ასეთი რამის დავიწყება შეუძლებელია.

მატჩის მთავარი მსაჯი უფრო მრავალსიტყვიანია.

— **რით დაგამახსოვრდათ ორ კონტინენტზე გამართული დუელი?**

— ორივე მოთამაშის კეთილი ნებით. ისინი ჭეშმარიტი პროფესიონალები არიან და შესაბამისადაც იქცევიან. ეს განსაკუთრებით აქ, ლიონში გამომჟღავნდა. ურთიერთობა მათ შორის თითქმის მეგობრულიც კი იყო. ასე ვერ ვიტყვით სევილიაზე, სადაც აგრეთვე მსაჯი გახლდით. ახლა მეტოქენი პარტიის შემდეგ ერთად აანალიზებენ პოზიციას, ერთხელ ამას მთელი საათი მოანდომეს, ადრე ამის წარმოდგენაც არ შეიძლებოდა. იყო, რა თქმა უნდა, ერთგვარი გაუგებრობანიც, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს სპორტია, ჭადრაკია.

— **ალბათ, საფრანგეთი განებივრებულია სანახაობით.**

— სწორედ რომ ასეა. სევილიაში, მაგალითად, მეც მიცნეს ქუჩაში, ხოლო მატჩის მონაწილეებს ქომაგები ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევდნენ, ლიონში კი არათუ მე, კარპოვსაც ვერ ცნობენ.

—**როგორ უყურებთ საჭადრაკო კომპიუტერებს? უფრო ზუსტად იმას, რომ ისინი უკვე ერევიან ორთაბრძოლაში, გავლენას ახდენენ მასზე, ეხმარებიან ადამიანებს იპოვონ სწორი სვლები გადადებულ პოზიციაში?**

— ჩემთვის ცნობილია, რომ ორივე მხარეს ჰქონდა კომპიუტერები. ეხმარებიან თუ არა ისინი მოჭადრაკეებს? ყოველ შემთხვევაში მე დარწმუნებული ვარ, რომ სამი წლის შემდეგ, როცა ახალი მატჩი გაიმართება, ეს მანქანები ნამდვილ ძალას შეიძენენ და გადადებული პარტიების ანალიზის დროს შეუცვლელნი იქნებიან. ბოლო მოდელებს ელოს კოეფიციენტი ნაკლები როდი აქვთ, ვიდრე კარგ საერთაშორისო დიდოსტატს, მაგრამ საქმე მარტოოდენ მანქანები როდია.

— **აგრეთვე ადამიანებიც?**

— დიახ. როცა გუნდში ათამდე სეკუნდანტია, მე მიმაჩნია, რომ ეს მეტისმეტია. უნდა შემცირდეს თანაშემწეთა რიცხვი, მათ ხომ არ უნდა დაამთავრონ პარტია. საერთოდ მე პარტიის გადადების წინააღმდეგი ვარ. ამ დროს იკარგება პირადი ბრძოლის ელემენტი და იწყება გუნდური შეჯიბრება.

— **რა შეიძლება ვიღონოთ?**

— ჩემი აზრით, დროის კონტროლის გავლის შემდეგ ორთაბრძოლა უნდა გაგრძელდეს უფრო შემჭიდროებული რეგლამენტით. და კიდევ, ინტერესის ამაღლება თუ გსურს, რაღაც უნდა მოვუხერხოთ ტაიმ-აუტებს. მთავარი მსაჯიც კი ამის შესახებ გებულობს მოსალოდნელი პირველი სვლის გაკეთებამდე რამდენიმე საათით ადრე. ახლა მაყურებელი, ტელევიზია, ჟურნალისტები?

— **რამდენი პროცენტი შანსი აქვს კარპოვს, რომ კვლავ გახდეს პრეტენდენტი?**

— ზუსტად 12,5 პროცენტი, რადგან მეოთხედფინალში რვა დიდოსტატი გავა, ხოლო მათი შანსი თანაბარია...

ოქრო, ბრინჯაო...

სამბისტთა აბსოლუტური ჩემპიონატი ქალაქ ვლადიმირში გაიმართა. ასპარეზობაში 18 მოჭიდავე მონაწილეობდა. საბჭოთა კავშირის აბსოლუტური ჩემპიონი გახდა საგარეჯოელი სპორტის ოსტატი კობა კუპატაძე. 23 წლის სპორტსმენი მანამდე იყო საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი ქართულ და თავისუფალ ჭიდაობაში, სამბოში.

ამავე შეჯიბრებაში მესამე ადგილი და ბრინჯაოს მედალი წილად ხვდა თბილისელ სოსო ჯიჩოშვილს, ხოლო მეხუთე რუსთაველ გიორგი ნოზაძეს.

შემოღებულია დამატებითი წამი

საბჭოთა კავშირის დროისა და სიხშირეთა მთავარი სახელმწიფო მეტროლოგიური ცენტრი იუწყება, რომ ასტრონომიულ დროსთან შეთანხმების მიზნით, 1990 წლის უკანასკნელ წუთში 61 წამი იქნება, სეტალონო დროის სიგნალების გადაცემის მთელი საშუალებანი ერთ, დამატებით წამს დაამატებენ 1990 წლის 31 დეკემბრის ღამით მსოფლიო დროით 0 საათზე (ჩვენი დროით 3 საათზე).

წერილი რედაქციას

ველოდებით დამოუკიდებელ გამომცემლობას

საქართველოს ძველთაძველ ქალაქს — ქუთაისს — საგამომცემლო საქმის დიდი ტრადიცია აქვს. აქ 1800 წელს გამოვიდა პირველი ნაბეჭდი წიგნი. ეს იყო „დავითიანი“, რომელიც იმერეთის მეფის სოლომონ მეორის დავალებით მესტამბემ გ. პაიჭაძემ საგანგებოდ გაწყობილ სტამბაში დაბეჭდა.

მას შემდეგ უამრავი გამომცემლობა არსებობდა ქუთაისში და აქ დაბეჭდილმა წიგნებმა, ჟურნალებმა და გაზეთებმა სრულიად საქართველოს ყურადღება მიიპყრო, რადგან აქ ჩაისახა მრავალი ახალი სალიტერატურო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულება.

პერიოდული გამოცემებიდან პირველი ქართული ყოველკვირეული საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „შრომა“ 1881 წლის 21 სექტემბერს გამოვიდა. ეს იყო დასავლეთ საქართველოს პროგრესული ახალგაზრდობის ორგანო, რომელიც ეროვნული თავისუფლების იდეებს ქადაგებდა.

1897 წელს საინტერესო ამბავი მოხდა — თბილისიდან გადმოიტანეს პირველი ქართული სასოფლო-სამეურნეო გაზეთი „მეურნე“, ქუთაისში იგი ჟურნალად გარდაიქმნა და სხვადასხვა პერიოდულობით გამოდიოდა.

1897-1900 წლებში თბილისსა და ქუთაისში შერეულად გამოდიოდა ყოველთვიური სალიტერატურო ჟურნალი „აკაკის კრებული“. მისი რედაქტორ-გამომცემელი თვით დიდი მგოსანი იყო. იგი იბეჭდებოდა დ. ღამბაშიძის სტამბაში (იხ. გრ. იარალოვი. „ქუთათური ჩირაღდნები“).

ცისფერყანწელთა ლიტერატურულმა მიმართულებამ ქუთაისში დაიდო სათავე და აქ ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთებში აკიაფდა პაოლო იაშვილის, ვალერიან გაფრინდაშვილის, კოლაუ ნადირაძის და ამ ორდენის სხვა წარმომადგენელთა მოელვარე ნიჭი. აქვე ქართულ თეატრალურ ტრადიციებს დიდი სამსახური გაუწია ყოველკვირეულმა ილუსტრირებულმა ჟურნალმა „თეატრმა“, რომელსაც რედაქტორობდა ჩვენი სახელგანთქმული მსახიობი, დიდი ტრაგიკოსი ალექსანდრე იმედაშვილი.

1912 წელი სარეკორდო იყო ქუთაისის საგამომცემლო ცხოვრებაში. თბილისში მხოლოდ 13 პერიოდული გამოცემა იყო აღნუსხული, ხოლო ქუთაისში გამოდიოდა 18 გაზეთი, 13 ჟურნალი და ალმანახი. აქ 1914 წელს რუტკუ გვარამიას კერძო გამომცემლობაში დაიბეჭდა გალაკტიონის პირველი წიგნი.

ამჟამად ქუთაისში მხოლოდ ერთი გამომცემლობაა და ისიც „საქართველოს“ ფილიალია.

1991 წელს გვექნება დამოუკიდებელი გამომცემლობა?!

გივი მეფისაშვილი,

საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.

ტელევიზია

თბილისი

კვირა, 30 დეკემბერი

პირველი პროგრამა. 10.05 — მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმები „ბებრები“ და „დრიბლინგი“. 10.15 — კინოაფიშა. 10.45 — ქართული ხალხური სიმღერის გაკვეთილი. 11.15 — საკვირაო გამოფენა. 11. 20 — მუსიკალური კინოდარბაზი. ქართული ფილმ-ოპერა „აბესალომ და ეთერი“. 12.50 — საკვირაო გამოფენა. 12.55 — „მეკონგის ნაპირებზე“. 13.35 — „ჯანმრთელობა“. 14.05 — „ვესტნიკი“. 14.50 — საკვირაო გამოფენა. 14.55 — მოსწავლეთათვის. „დღე გვაქვს ნათელი“ (ანსამბლ „მზიურის“ ახალი პროგრამა). 15.35 — მამული, ენა, სარწმუნოება. 16.00 — აბიტურიენტთათვის — ქართული ენა და ლიტერატურა (სტუდიაშია თ. კვაჭანტირაძე). 16.30— „თბილისი და თბილისელები“ (საახალწლო გამოშვება). 17.35— „გინდ დაიჯერეთ, გინდ არა“. 18.45 — ასი ქართული ხალხური სიმღერა. 19.45 — ძილისპირული. 20.00 — მოამბე. 20.35 — ხალხური შემოქმედება. კონცერტი. 21.00 — „ვრემია“. 21.40 — ილუზიონი. 23.30 — „იტალია-90“. გადაცემა მეორე (გამეორება).

მეორე პროგრამა. 16.20 და 21.00 — საქართველოს ტელევიზიის I პროგრამის გამეორება. 21.00-24.00 — საქართველოს კომერციული ტელევიზიის პროგრამა.

ორშაბათი, 31 დეკემბერი

პირველი პროგრამა. 9.35 — ხალხური შემოქმედება. საახალწლო კონცერტი. 10.05 — პოეზიის ხუთი წუთი. 10.10— მოსწავლეთა საშობაო არდადეგების გამო. სატელევიზიო კინოდარბაზი „ცისკარა“. მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა და ქართული მხატვრული ფილმი „მამლუქი“. 12.00 — პოეზიის ხუთი წუთი. 12.05 — ახალ წელს გილოცავთ, საქართველოვ. მომავალი შენია! კონცერტი. 12.40 — თეატრალური აფიშა. 13.20 — მოსწავლეთათვის; საახალწლო გასართობი პროგრამა. 14.10 — ლიტერატურული კალეიდოსკოპი. 15.20 — „პუნქტუმ, კონტრა პუნქტუმ“. 16.40 — საერთაშორისო დღიური. 17.40 — „სუფრული“. კონცერტი. 18.40 — სიცილი მსოფლიო ეკრანზე. ჩარლი ჩაპლინი. 19.20 — მუსიკალურ-გასართობი პროგრამა „იქნებ გესიამოვნოთ!“. 20.00 მოამბე. 20.45 — ძილისპირული. 21.00-06.00 — საახალწლო გასართობი პროგრამა „მრავალ ახალ წელს, მეგობრებო!“ (გადაცემაში მონაწილეობენ ქართული კულტურისა და ხელოვნების წარმომადგენლები, მოწინავე ადამიანები. პროგრამაში ჩართულია მესამე ნაწილი სატელევიზიო გადაცემისა „იტალია-90“.

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26;
წერილების რედაქცია 99-73-24.
იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო
კორპუსში, ხოშარაულის ქ. № 29.

ინდექსი 68484.

საქართველოს რესპუბლიკა